

#2, 2020

სკოლის მართვა



ISSN 1512-0279
9 771512 027077 A



საერთაშორისო მასშტაბის
მედიკონი, კოლდინსკა
და სპირინსკის სახელობის
ინსტიტუტი



მასწავლებელთა
ერთგვარული
განვითარების
ერთგვარული
ცენტრი

გია მურღულია



განათლების სისტემისთვის პანდემია დიდი გამოწვევაც აღმოჩნდა და არანაკლები შესაძლებლობაც. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, მუშაობა და საქმის ორგანიზება მართვის ყველა დონეზე უკიდურესად გართულდა, მეორე მხრივ კი, ადამიანებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს და, ხშირ შემთხვევაში, იპოვეს კიდევ.

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ეს ნომერი მთლიანად ეძღვნება ქართული სკოლის ფუნქციონირებას ვირუსული კრიზისის პირობებში - ჩვენმა ავტორებმა იბრუნეს, რომ აქ წარმოდგენილი წერილები ფუნქციური, შემეცნებითი და მრავალფეროვანი ყოფილიყო.

სასექტემბრო ნომერიც, ძირითადად, ამ საკითხებს - კრიზისულ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში სკოლის ადმინისტრატორთა საფიქრალსა და საკეთებელს - მიეძღვნება.

ამ თვეებმა ბევრი პრობლემა გამოამჟღავნა, მაგრამ, მათთან ერთად, საზოგადოებამ საინტერესო გადაწყვეტილებები დაახლებურად მოაზროვნე ადამიანებიც გაიცნო.

ჩვენი ჟურნალი სწორედ მათზე გაამახვილებს ყურადღებას.

სკოლის მართვა

#2, 2020

გამომცემელი - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; გამოცემა მოამზადა საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირი კურსანტების ქ. 4,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიებში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

მთავარი რედაქტორი:
გია მურღულია

სარედაქციო კოლეგია:

ბერიკა შუპაკიძე

განათლების დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ნატალია ინგოროყვა

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

არჩილ სუმბაძე

„ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისის“ დირექტორი

ავთანდილ აბდუშელიშვილი

სკოლა „შავნაბადას“ დირექტორი

გიორგი ვახეაძე

ევროპული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჭანდუჩიანი

კოალიციის „განათლება ყველასათვის“ დირექტორი

კორექტორი:
მაია ნიკლაური

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

განათლების პროცესის მართვა კრიზისულ პერიოდში

3

ეკატერინე დგებუაძე
გზა დისტანციურ სწავლებაზე

ინტერვიუ

9

ბერიკა შუკაკიძე
საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის კონკურსი

განათლების პროცესის მართვა კრიზისულ პერიოდში

12

მარიამ ჩიქობავა
საქართველოს განათლების სისტემა და კანდეიის გამოწვევები

21

გიორგი ჭანტურია
როგორ გავხსნათ სკოლები სექტემბერში

26

არჩილ სუმბაძე
**გამოწვევები ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას:
სხვათა გამოცდილება და ჩვენი საფიქრალი**

33

ავთო აბდუშელიშვილი
**ონლაინსწავლების გამოწვევები და შედეგები
ქართულ სასკოლო გარემოში**

37

მიხეილ იაშვილი
**ონლაინსწავლება – ახალი რეალობა
ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში**

42

ნიკოლოზ სილაგაძე
**კანდემია და განათლების რეფორმა
ძველი პრობლემები ახალ ვითარებაში**

განათლების პარადიგმა

53

იმერი ბასილაძე, ეთერ ღვინერია
**პარადიგმის ცვლილება – სწავლების პარადიგმიდან
სწავლის პარადიგმამდე
დიდაქტიკიდან – მათეტიკამდე**

ეკატერინე ღვებუაძე

საქართველოს
განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის
მინისტრის მოადგილე



გზა

დისტანციურ სწავლებამდე

როგორია ვირუსული პანდემიის პირობებში საქართველოს სასკოლო სისტემის მართვისა და რეფორმირების პროცესის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსეული ხედვა? როგორ აღიქვამს უმთავრეს პრობლემებსა და გამოწვევებს ეს მნიშვნელოვანი უწყება? წერილში სწორედ ამ კითხვებზე იპოვით პასუხებს.

გლობალურმა პანდემიამ განათლების სისტემის დღის წესრიგი შეცვალა – წესრიგი, რომელიც ორიენტირებული იყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაზე, მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე, სკოლების შეფასების სისტემის განვითარებაზე, სკოლების ჰიგიენა-სანიტარიის მოწესრიგებაზე, საგანმანათლებლო რესურსების შექმნაზე, სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და სხვა.

მოგვიწია პროცესების გადაფასება და დაჩქარება, განათლების პოლიტიკის გადახედვა; დადგინდა ახალი დღის წესრიგი, დაფასდა ადამიანების მიმართ ზრუნვა და პატივისცემა.

შექმნილმა კრიზისმა უკეთესობისკენ ცვლილების შესაძლებლობა გააჩინა. საზოგადოება, რომელიც მხოლოდ სისტემის კრიტიკით გამოირჩეოდა, დღეს ახალი დღის წესრიგის შემუშავებაში იღებს მონაწილეობას. ხდება არსებული ხარვეზების გაცნობიერება, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენა, სწავლა-სწავლების მეთოდების გადაფასება, სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეების გააზრება; იკვეთება მაღალი ტექნოლოგიების

განათლების სისტემაში დანერგვის საჭიროება, მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლების აუცილებლობა.

დღეს განათლების სისტემა დაჩქარებულ რეჟიმში ნერგავს და ავითარებს სწავლების ახალ მეთოდებს, რაც ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი იყო. საზოგადოება განვითარების მნიშვნელოვანი და საინტერესო პროცესების მომსწრეა.

პირველ ეტაპზე პროცესები ინერციით, თუმცა გააზრებულად მიმდინარეობდა – ვსვამდით შეკითხვებს და ვეძებდით პასუხებს; რაც გუშინ ვერ წარმოგვედგინა, ის ხდება დღეს. ცვლილებები დაიწყო, პირველ რიგში, ჩვენს ცნობიერებაში... ცნობიერება იცვლება არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებში, არამედ მოსწავლეებში, მასწავლებლებში, მშობლებში; იცვლება მართვის სტილი, ხდება პროგრამების გადახედვა და გადალაგება. პრიორიტეტი მიენიჭა ტექნოლოგიების, კომპიუტერული უნარების, ელექტრონული რესურსების განვითარებას.

ისე როგორც არასდროს, დღის წესრიგში დადგა სკოლებში ჰიგიენის, სკოლების მოვლა-პატრონობის საკითხი.

როდესაც მსოფლიო პანდემიამ მოიცვა, 178 ქვეყნის სკოლებში სასწავლო პროცესი შეჩერდა; მათ რიგებში იყო საქართველოც და მოსწავლეები აღმოჩნდნენ საკლასო ოთახების გარეთ. UNESCO-ს კვლევებში ამოიკითხავთ, რომ მოსწავლეების 78% აღმოჩნდა განათლების მიღმა, თუმცა ვიტყვით, საკლასო ოთახში სასწავლო

პროცესის გარეშე. გამოწვევა იყო მასშტაბური, რთული და მისი სწრაფ რეჟიმში მოგვარება იყო სისტემის პასუხისმგებლობა. მივყვებით მოვლენების განვითარებას, ვეცნობოდით საერთაშორისო გამოცდილებას. დროულად უნდა შეგვეთავაზებინა მოსწავლეებისთვის განათლების ალტერნატიული მოდელი. უნდა შეგვეცვალა მოსწავლეებისა და მშობლების ყოველდღიური ყოფა. შეჩერებულ სასწავლო პროცესს არ უნდა გამოეწვია უარყოფითი შედეგი.

დისტანციური სწავლება არის ტერმინი, რომელსაც კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ არ იცნობდა. დისტანციური სწავლების ჩანასახი გაჩნდა რამდენიმე წლის წინ, როდესაც მაღალთიან რეგიონებში, მცირეკონტინგენტიან სკოლებში მასწავლებლების დეფიციტი გაჩნდა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დისტანციური სწავლების პირველი ნაბიჯები გადადგა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო – შექმნილიყო განათლების ისეთი მოდელი, სადაც დაცული იქნებოდა ყველა მოსწავლის განათლების უფლება. სწავლების ერთი უნივერსალური ფორმა ვერ უპასუხებდა არსებულ გამოწვევას; შესაბამისად, საჭირო გახდა ალტერნატიული გზების მოძიება და დანერგვა.

ყველაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს Microsoft-თან გაფორმებული ხელშეკრულება

Office 365





და ხუთწლიანი ლიცენზიის მოპოვება, რაც გულისხმობს Microsoft Office 365 TEAMS-ის პლატფორმის გამოყენებით online-სწავლების პროცესის წარმართვას და ვირტუალურ კლასში მასწავლებელს გაკვეთილის/გაკვეთილების მთელ კლასთან ჩატარების შესაძლებლობას აძლევს. მოკლე პერიოდში, საქართველოს საჯარო სკოლებისთვის (ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის) შეიქმნა Microsoft Office 365-ის მომხმარებლის 600 000-მდე პროფილი. შეიქმნა ყველა სკოლის, კლასებისა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები.

ექიმების რეკომენდაციების საფუძველზე, მოსწავლეებისთვის დღეში არაუმეტეს 3 ონლაინ გაკვეთილის ჩატარება განისაზღვრა, ასევე, მოსწავლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დადგინდა online გაკვეთილების ჩატარების ხანგრძლივობა:

- I-IV კლასებში – 20 წუთი;
- V-IX კლასებში – 30 წუთი;
- X-XII კლასებში – 40 წუთამდე.

მოგვსენებათ, ნებისმიერი ცვლილება ადამიანისგან გარკვეული საადაპტაციო პერიოდის გავლას მოითხოვს. არ გვქონდა მოლოდინი, რომ ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პირველივე დღეებში დიდ წარმატებას მივაღწევდით. მნიშვნელოვანი იყო განწყობა, პროცესების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება.

ამ პროცესებში უმნიშვნელოვანესია მშობლების

როლი; მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სახლის პირობებში მთლიანად მათზე დამოკიდებული, რამდენად უსაფრთხო სასწავლო გარემო ექნება ბავშვს შექმნილი. რა თქმა უნდა, ვირტუალურ სასწავლო გარემოში ბევრად რთულია ადაპტირება, ვიდრე რეალურ საკლასო ოთახში. მშობლის პასუხისმგებლობა მთავრობის პირველივე დადგენილებაში აისახა.

დისტანციური სწავლების სწორად წარმართვა ბევრი დადებითი მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. ის ეხმარება ბავშვს თვითდისციპლინის, პასუხისმგებლობის გამომუშავებაში, აძლევს განსხვავებულ გარემოში მოქმედების და პროცესების მართვის შესაძლებლობას.

მანდატურის სამსახურში არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, დისტანციური სწავლების პროცესში მიღებულ სტრესთან გასამკლავებლად, მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მშობლებს, პროცესის დაწყების პირველივე დღეებიდან, 24 საათიან რეჟიმში უწყვედა სატელეფონო კონსულტაციას. თუმცა ეს არ იყო საკმარისი, როდესაც საუბარი ეხება განათლების ხელმისაწვდომობის საკითხს; საჭირო იყო სამინისტროს გაეთვალისწინებინა და ეზრუნა მოსწავლეებზე, რომელთა მშობლებმაც, სოციალური დაუცველობის მიზეზით, ვერ შეძლეს შვილების ინტერნეტით და ტექნიკით უზრუნველყოფა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს პირველი არხის ურთიერთთანამშრომლობით დაიბადა



პროექტი „ტელესკოლა“. გაჩნდა იდეა და, ორი კვირის განმავლობაში ერთობლივი 24 საათიანი მუშაობის შედეგად, 30 მარტიდან „ტელესკოლა“ გავიდა ეთერში. პროექტმა პირველი არხის მენეჯმენტში გააჩინა ახალი არხის „TV1 განათლება“ შექმნის იდეაც, რაც რეალობად იქცა. პროექტი ითვალისწინებს ტელეგაკვეთილების ჩატარებას, სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით. გაკვეთილების ბაღე მოიცავს I-XII კლასებს. ამასთან ერთად, პროექტი ითვალისწინებს აბიტურიენტის საათის ჩატარებასაც. შესაბამისი დარგის სპეციალისტები აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის უწევენ კონსულტაციას. ზოგადი განათლების საფეხურზე ყველა მოსწავლის საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ მოსწავლეებისთვის გაკვეთილები ითარგმნება უესტურ ენაზე. „ტელესკოლაში“, სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგების ჩართულობით, გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტერესებიც.

აღსანიშნავია, რომ ვირუსის გავრცელების ყველაზე მწვავე პერიოდში, როდესაც გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, დაწესდა კომენდანტის საათი, შეზღუდული იყო ადამიანების შეკრება და აიკრძალა ქალაქში ტრანსპორტით გადაადგილება, ტელესკოლის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლები და პირველი არხის თანამშრომლები არ შეუშინდნენ დახურულ

სივრცეში მუშაობას და უწყვეტ რეჟიმში ჩაწერეს გაკვეთილები.

პარალელურად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შეთავაზებული იყო „ქართულის, როგორც მეორე ენის“ სწავლების პროგრამა; ამასთან ერთად, საგნების სწავლება დაიწყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ყველაზე დიდი გამოწვევის წინაშე აბიტურიენტები დადგნენ; მათ დიდ ნაწილს მოლოდინი ჰქონდა, სასკოლო გარემოში მასწავლებლების დახმარებით განიმტკიცებდნენ და დარჩენილ პერიოდში შეაჯამებდნენ ეროვნული გამოცდებისთვის განსაზღვრულ თემებს. მათ მხარდასაჭერად, 4 მაისიდან 4 ივლისის ჩათვლით, მიმდინარეობს ვებინარები იმ საგნებში, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარდება. ჯამში 400-მდე ვებინარი იქნება განთავსებული პლატფორმაზე el.ge.

შეიქმნა კომპლექსური საშინაო დავალებების ელექტრონული კრებული სხვადასხვა საგანში I-XII კლასის მოსწავლეებისთვის და განთავსდა ელექტრონულ პორტალზე el.ge.

ახალი გამოწვევების საპასუხოდ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაიწყო ონლაინ-ტრენინგების ფორმატის შემუშავება და ეტაპობრივი დანერგვა მასწავლებლებისა და სოციალური მუშაკებისთვის. ასევე, ცენტრის გვერდზე ყოველდღიურად ტარდება ვებინარები საგნობრივი და ზოგადი

პედაგოგიკის მიმართულებით, რომელსაც ათობითათასი მასწავლებელი უსმენს.

დაინერგა მოსწავლეთა შეფასების ახალი მოდელი, რომლის თანახმად 2019-2020 სასწავლო წელს სავალდებულოდ განისაზღვრა შეფასების ორი ფორმა – განმაგითარებელი და განმსაზღვრელი.

განმაგითარებელი შეფასებისას მასწავლებელი აღწერს თითოეული მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გავლილ საგანმანათლებლო პროცესს, ახასიათებს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასაბუთებს, რისი გავგება/გააზრება გაუჭირდა მოსწავლეს და რატომ, ახალისებს მოსწავლის ძლიერ მხარეებს და აძლევს რეკომენდაციებს სასურველი შედეგის მისაღწევად. მასწავლებელი, ასევე, ადგენს მომდევნო სასწავლო წელს განსახორციელებელ ღონისძიებებს, აქტივობებს და ა.შ.. შემუშავებული განმაგითარებელი შეფასება მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მომდევნო სასწავლო წელს ეფექტიანი საგაკვეთილო პროცესი დაგეგმოს და წარმართოს თითოეული მოსწავლისთვის. შეფასების დოკუმენტი მასწავლებელმა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უნდა გააცნოს და, საჭიროების შემთხვევაში, მასთან/მათთან ინდივიდუალურად განიხილოს ის.

განმაგითარებელი შეფასების პროცესში ფასდება მოსწავლის როგორც საკლასო ოთახში მიღებული გამოცდილება, ისე დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნა, მასალა, სასკოლო აქტივობები, განხორციელებული პროექტები და სხვა.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, შემუშავდა შეფასების ალტერნატიული გზებიც, რაც მიმდინარე სასწავლო წელს მიღებული ქულების წლიურ ქულად განსაზღვრას ითვალისწინებს. ასევე, გაჩნდა წლიური ქულის ამალღების შესაძლებლობა.

მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებისა და დისტანციური სწავლების განვითარება, მუშაობა მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და დამხმარე სასწავლო მასალების შექმნის მიმართულებით, რაც სკოლებს სასწავლო პროცესში საინფორმაციო-ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას მისცემს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ მოხალისე ადამიანების წვლილი, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში ეხმარებიან



მასწავლებლებს და მოსწავლეებს ონლაინ სწავლების პროცესის გამართვაში.

არსებულმა სიტუაციამ თანამშრომლობის კარი ფართოდ გააღო; პროცესების მხარდასაჭერად ორგანიზაციებმა, გამომცემლებმა, კერძო ბიზნესის წარმომადგენლებმა სოციალური პასუხისმგებლობის კარგი მაგალითები აჩვენეს.

ერთ-ერთ ელექტრონულ ჟურნალში არაერთი მასწავლებლის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც წერდნენ მასწავლებლის როლსა და გამოცდილებაზე:

„თავდაპირველად, ცოტა გაგვიჭირდა მათ პლატფორმაზე წვდომა, მოსწავლეთა დარეგისტრირება, პროგრამის ფუნქციებში გარკვევა, მაგრამ ეს რთული პროცესი, დღესდღეობით, უკან მოვიტოვეთ და დისტანციურ სწავლებაში ჩავაბით მოსწავლეთა 90%. ჩვენც ვსწავლობთ ახალი რეალობით და მოსწავლეებსაც ვასწავლით. ვგეგმავთ გაკვეთილებს, სამუშაო შეხვედრებს, ვიღებთ დავალებებს და ვახორციელებთ უკუკავშირს. რა თქმა უნდა, ეს სწავლების (ამ რთული სიტუაციიდან გამომდინარე) უაღრესად დადებითი მხარეა, მაგრამ მას თავისი ხარვეზებიც აქვს: კერძოდ, გადატვირთულია ინტერნეტი, ხან ხმა წყდება, ხან – გამოსახულება. ყოველივე ეს სწავლების ხარისხზე აისახება, სრულად ვერ ხდება ყველა მოსწავლისთვის ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს მობილურით ვუკავშირდებით და ვაწვდით მასალას“.

მასწავლებლების დიდი ნაწილი კარგად გაუმკლავდა გამოწვევებს. პოზიტიურად შეფასებ და მადლობას გადაუხდინა ყველა იმ მასწავლებელს, რომელმაც მოინდომა და რთულ, გამოუვალ სიტუაციაში, მიუხედავად მათი ტექნოლოგიებთან მუშაობის მცირედი გამოცდილებისა, გამართულად წარმართა სასწავლო პროცესი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დისტანციურ სწავლებას საქართველოში მაღალი შეფასება მისცეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა: ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OECD) ჩარჩო დოკუმენტში Covid-19-ით შექმნილი გამოწვევების დაძლევის კუთხით, საქართველოში განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად დაასახელა და OECD-ის განათლების დირექტორატის ხელმძღვანელმა COVID-19-ის კრიზისის პირობებში განათლების სისტემის ადაპტაციისა

და დისტანციური სწავლების წარმატებით დაწერვის თვალსაზრისით, საქართველო და ფინეთი ლიდერ ქვეყნებად დაასახელა. განათლების სფეროში გატარებულ ღონისძიებებს მაღალი შეფასება მისცა, აგრეთვე, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამაც (UNICEF).

UNICEF საქართველოს ოფისმა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების სფეროში ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტერესებზე ორიენტირებულ რეფორმებს უმაღლესი შეფასებას მისცა.

კორპორაცია „მაიკროსოფტის“ (Microsoft) განათლების ოფისმა „კოვიდ-19“-ის (COVID-19) კრიზისის პირობებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს მაღალი შეფასება მისცა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ურჩია, უფრო მეტი გაეგოთ საქართველოს მიდგომებისა და განვლილი გზის შესახებ.

ეპიდემიის შედეგები უნდა გავაცნობიეროთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შეფასდეს პროცესების ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგინდეს გამოწვევები, განისაზღვროს სწორი პოლიტიკა, შეიქმნას განათლების ხარისხის შეფასების ახალი სტანდარტები და მექანიზმები.

უამრავ შეკითხვაზე პასუხი გასაცემი – როგორ გრძობენ მოსწავლეები თავს საკლასო ოთახს მიღმა, რა ენატრებათ სკოლიდან, რა გამოწვევის წინაშე დადგა მასწავლებელი, რა უნარების განვითარება არის მათთვის მნიშვნელოვანი და სხვა.

სასწავლო წელი იწურება, პირველკლასელებმა მეორე კლასში გადააბიჯეს, მეთორმეტეკლასელები უცნაურად გავაცილეთ და წარმატება ვუსურვეთ. პროცესი გრძელდება, წესები იცვლება და რეფორმის ფარგლებში მრავალი ცვლილება იგეგმება. ახალი სასწავლო წლისთვის მზადება იწყება.

ბერიკა შუკაკიძე

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი



საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის კონკურსი

ინტერვიუ მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორთან – ბერიკა შუკაკიძესთან

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა პროექტი საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის გამოსავლენად. სწორედ ამ კონკურსის შესახებ გვესაუბრება ცენტრის დირექტორი.

როგორ დაიბადა სკოლის დირექტორთა კონკურსის იდეა?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უკვე რამდენიმე წელია ატარებს ყოველწლიურ კონკურსებს წლის საუკეთესო მასწავლებლის, საუკეთესო საგნის მასწავლებლის, დამსახურებული და ღვაწლმოსილი მასწავლებლის გამოსავლენად. პროექტმა ძალიან მალე მოიპოვა პედაგოგთა კორპუსის და, რაც მთავარია, მთელი საზოგადოების აღიარება. შერჩეულმა საუკეთესო მასწავლებლებმა წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო კონკურსებზეც. ყოველივე ამან კი, სხვა არაერთ საინტერესო ღონისძიებასთან ერთად, პოპულარული და სასურველი გახადა მასწავლებლის პროფესია, გაზარდა მისი პრესტიჟი, გამოავლინა და საზოგადოებას გააცნო წარმატებული მასწავლებლების გამოცდილება და პრაქტიკა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ პროექტმა მიზანს მიაღწია.

ზემოხსენებული კონკურსების დადებითი შედეგებიდან გამომდინარე, გაჩნდა იდეა – შეგვექმნა ახალი

პროექტი საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის გამოსავლენად და საზოგადოებისთვის წარსადგენად. დღეს არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორს, ლიდერს განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა აკისრია და მნიშვნელოვანია მისი შრომის წარმოჩენა-დაფასება. სწორედ საუკეთესო სკოლის დირექტორებისა და მათი წარმატებული პრაქტიკის საზოგადოებისთვის გასაცნობად, ცენტრმა შეიმუშავა და ამოქმედდა ზემოხსენებული ახალი პროექტი. შეიქმნა „საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის“ წოდების მინიჭების წესიც, სადაც დეტალურად გაიწერა პროცედურა და ყველა კრიტერიუმი.

როდის და როგორ ჩატარდა საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის პირველი კონკურსი?

საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის კონკურსი პირველად ჩატარდა 2019 წელს. კონკურსი გამოცხადდა – 2019 წლის 21 მაისიდან – 21 ივლისის ჩათვლით პერიოდში და პირველივე ჯერზე შემოვიდა 59 განცხადება.

კანდიდატთა შერჩევა მოხდა საკონკურსო კომისიის მიერ, გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. კომისიის წევრებად წარმოდგენილნი იყვნენ: საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასწავლებელთა პროფკავშირის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, აგრეთვე, საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები.

კონკურსი წარიმართა რამდენიმე ეტაპად:

- პირველ ეტაპზე კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, კონკურსის მეორე ეტაპზე გადავიდა 20 კანდიდატი.
- ხმათა უმრავლესობით, გასაუბრებისთვის შეირჩა 12 კანდიდატი.
- შემდეგ ეტაპზე გადავიდა 6 კანდიდატი. თითოეულ მათგანთან სკოლაში მივიდნენ საკონკურსო კომისიის წევრები. სკოლის ინფრასტრუქტურის, პირობების, შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, ისინი

გაცაუბრნენ მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, რათა შეექმნათ სრული სურათი კანდიდატის შესახებ.

- გამოვლინდა სამი ფინალისტი: რუხის საჯარო სკოლის დირექტორი – გოგი თოდუა, ქუთაისის 30 -ე საჯარო სკოლის დირექტორი – მიხეილ გიორგაძე და თბილისის 198 -ე საჯარო სკოლის დირექტორი თეონა ყაჭვიშვილი.
- 2019 წლის საჯარო სკოლის საუკეთესო დირექტორი გახდა თბილისის 198-ე საჯარო სკოლის დირექტორი თეონა ყაჭვიშვილი.

როგორ შეირჩნენ კონკურსის ჟიურის წევრები?

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საკონკურსო კომისიის შემადგენლობა ყოფილიყო ობიექტური, მიუკერძოებელი და მისაღები თითოეული კონკურსანტისა და საზოგადოებისთვის, მისი მუშაობა კი – გამჭვირვალე. ამასთან ერთად, კომისია უნდა ყოფილიყო წარმომადგენლობითი, დაკომპლექტებული პროფესიონალებით. მიღებული შედეგიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სწორედ ასეთი კომისია შევქმენით.

რა მთავარ კრიტერიუმებს დაეფუძნა კონკურსის ჟიური გამარჯვებულთა გამოსავლენად?

გამარჯვებულის გამოსავლენად საკონკურსო კომისიამ მიხედვით განიხილა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეიმუშავებული და დამტკიცებული „საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის“ წოდების მინიჭების წესით განსაზღვრული კრიტერიუმებით:

- ა. საკუთარი სკოლის განვითარებაზე ზრუნვა;
- ბ. თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის ხელშეწყობა;
- გ. ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა;
- დ. სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;
- ე. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- ვ. რესურსების ეფექტიანი მართვა;
- ზ. თვითგანვითარებაზე ზრუნვა;
- თ. ინოვაციურობა.

წლის საუკეთესო დირექტორი 2019



რა დაისახა მიზნად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ამ კონკურსის ჩატარებით?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანია, – გამოავლინოს და წარუდგინოს როგორც სასკოლო, ასევე ფართო საზოგადოებას ადამიანები, ლიდერები, რომლებმაც თავისი პროფესიონალიზმითა და თავდაუზოგავი შრომით შეძლეს საკუთარი სკოლის განვითარება, შექმნეს უსაფრთხო, თანამშრომლობითი გარემო, აამაღლეს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხი; რომლებიც სისტემატურად ზრუნავენ როგორც საკუთარ, ისე თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე, ზრუნავენ თითოეულ მოსწავლეზე და, რაც მთავარია, არიან ნოვატორები და აღწევენ დასახულ მიზნებს.

ჩვენი ინტერესია წარმატებული დირექტორების წახალისება, მათი გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის, რათა უფრო და უფრო მეტმა ლიდერმა დანერგოს ის საკუთარ სკოლაში და მეტი სკოლა გახდეს წარმატებული.

მიაღწიეთ თუ არა მიზანს?

კონკურსი ყოველწლიურია; წელს ჩატარდება მეორედ და, აქედან გამომდინარე, ადრეა იმის თქმა, რამდენად მივაღწიეთ მიზანს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული კონკურსის დაწესებით ვგეგმავთ როგორც მოკლევადიან, ასევე, გრძელვადიან შედეგებზე გასვლას, გარკვეული წარმატება უკვე შეგვიძლია აღვნიშნოთ.

ამ ეტაპზე, საჯარო სკოლის წლის საუკეთესო დირექტორის კონკურსმა დაგვანახა, რომ ჩვენს განათლების

სისტემას ყავს არაერთი პროფესიონალი, მოტივირებული, საკუთარი საქმისთვის თავდადებული დირექტორი, რომლებიც მზად არიან თავდაუზოგავად იშრომონ თავისი სკოლის განვითარებისთვის; ამასთან ერთად, საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ და დაეხმარონ კოლეგებს წარმატების მიღწევაში და თვითონაც გაიზიარონ საინტერესო ნოვატორული იდეები.

რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, რამდენიმე კონკურსის ჩატარების შემდეგ, საუკეთესო დირექტორების გამოვლენით და მათი დადებითი გამოცდილების გაზიარებით, უკვე არაერთ სკოლას მიეცემა შესაძლებლობა გაეცნოს და დანერგოს მისთვის მისაღები წარმატებული მართვის ფორმა. შესაბამისად, მომავალში წარმატებული სკოლების სიმრავლის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად, საუკეთესო დირექტორის კონკურსი უნდა მივიჩნიოთ.

აპირებს თუ არა მასწავლებლის სახლი განზოგადოს გამარჯვებულ დირექტორთა მმართველობითი პრაქტიკა?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კონკურსების გამარჯვებული დირექტორების დადებითი გამოცდილება და პრაქტიკა ბევრმა დირექტორმა გაიზიაროს და დანერგოს თავის სკოლაში; რაც შეეხება საუკეთესო მმართველობითი პრაქტიკის განზოგადებას, ვფიქრობთ, სკოლას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება, მით უფრო, რომ მომავალი კონკურსების შედეგად მართვის არაერთი წარმატებული ფორმა გამოვლინდება.



მარიამ ჩიქობავა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

საქართველოს განათლების სისტემა და კანდიდიის გამოწვევები

როგორ უნდა გავიაზროთ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტული მოთხოვნები და მივალნიოთ დასახულ მიზნებს ისე, რომ ხარისხის პრობლემა ნაკლებად თვალსაჩინო იყოს? – წერილი ამ კითხვის პასუხის ძიების მცდელობაა.

სხვა ქვეყნების მსგავსად, ვირუსმა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს განათლების სისტემა. სკოლებმა, შეიძლება ითქვას, თამამად მიიღეს ეს გამოწვევა და იძულებითი არდადეგების დაწყებიდან მალევე არაერთი ინფორმაცია თუ პოსტი გაჩნდა დისტანციური სწავლების მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც სკოლები და პედაგოგები გვიზიარებდნენ. თუმცა, ერთია სოციალურ ქსელში თავის მოსაწონებლად თუ გასამხნეებლად გამოქვეყნებული პოსტები და მეორეა, რას გვეუბნება რიცხვები და ფაქტები.


სამინისტრომ სწავლის შეჩერებიდან უმოკლეს დროში დაიწყო ღონისძიებების გატარება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის განკუთვნილი დისტანციური სწავლების დაცული სივრცის ორგანიზების შესახებ, რომელიც Microsoft 365 შემოგვთავაზა, კერძოდ:

- Microsoft TEAMS-ში შეიქმნა ყველა სკოლის კლასები-სა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები;


- შემუშავდა საჯარო სკოლებისთვის მხარდამჭერი დეტალური ინსტრუქციები, კომპანია Microsoft-თან თანამშრომლობით კითარგმნა/ლოკალიზდა TEAMS-ის სასწავლო მოკლე კურსი, რომელიც განთავსდა პორტალებზე email.mes.gov.ge და el.ge;
- მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის/მშობლებისთვის ჩატარდა ვებინარები Microsoft Office 365-ის პროდუქტების თაობაზე კიბერუსაფრთხოების მიმართულებით;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, სწავლის შეჩერებიდან მალევე, მაგალითად 20 მარტისთვის, პლატფორმა TEAMS-ში დღეში უკვე იყო 78,509 აქტიური მომხმარებელი, მათი რიცხვი განუხრელად იზრდებოდა და პიკს მაისის დასაწყისისთვის მიაღწია.

ჩარტი 1 – TEAMS-ისა და Office 365-ს დღიური მომხმარებლების რაოდენობა (15 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით)



ჩარტი 2 – ელ-ფოსტისა და One-Drive-ის დღიური აქტიური მომხმარებლების რაოდენობა (15 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით)



ჯამურად აქტიური მომხმარებლების რაოდენობამ 25 მაისის მონაცემებით Teams-ში 395,600 შეადგინა. მთელი საქართველოს მასშტაბით კი გადავცდით მოსწავლეთა და მასწავლებელთა სრული რაოდენობის 65%-ს.

სტატისტიკამ, ასევე, აჩვენა, რომ მომხმარებლების 70% Teams-ს მობილური მოწყობილობით იყენებს - სმარტფონით ან ტაბლეთით.

აქვეუნდააღნიშნოს, რომ სკოლები გარდა Microsoft-ის პროდუქტებისა, იყენებდნენ სხვა პლატფორმებსაც (Zoom, მესენჯერი, edu.feedc.com, სკაიპი და სხვა).

სკოლებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, დისტანციური სწავლების პროცესში სხვადასხვა პლატფორმისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, ჯამურად ჩართული იყო სკოლების დაახლოებით 88%.

იმ მოსწავლეებისთვის კი, ვინც ვერ მოახერხა ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართვა, სახელმწიფო მტელეგაკვეთილების ტრანსლირება დაიწყო. ეროვნული სასწავლო გეგმების ექსპერტების მიერ, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეირჩა ძირითადად ის თემები, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე უნდა დაძლეულიყო. ამასთანავე, კონკრეტულ საგნებში ტელეგაკვეთილები მიჰყვა ძირითადი საგნობრივი ცნებების განმტკიცებას და მასალის გამეორებას.

გარდა მოსწავლეებისა, ტელესკოლის სახით არსებული რესურსი მასწავლებლებსაც შეეძლოთ გამოეყენებინათ. მაგალითად, როგორც ახალციხის სკოლების პედაგოგები აღნიშნავენ, “ტელესკოლის” გაკვეთილებს დამხმარე რესურსადაც აქტიურად იყენებდნენ და მოსწავლეებს დავალებებსაც აძლევდნენ ტელეგაკვეთილების საფუძველზე.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მინიმუმი, რაც ძალიან მოკლე დროში, ოპერატიულად გაკეთდა. ამ ნაბიჯების გამო, ჩვენი ქვეყანა დადებითი კონტექსტით მოხვდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციისა (OECD) და Microsoft-ის რეპორტებში.

OECD-ის კვლევაში 98 ქვეყნის მაგალითია განხილული. საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადაღებული ნაბიჯები კი წარმოდგენილია როგორც ნიმუში სხვა ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა: საფრანგეთი,

ფინეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ნიდერლანდები, პორტუგალია და სხვა. ამავე ორგანიზაციის განათლების დირექტორატმა კრიზისის პირობებში განათლების სისტემის ადაპტაციისა და დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით, საქართველო და ფინეთი ლიდერ ქვეყნებად დაასახელა.

ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, ნიშნავს თუ არა ეს, რომ არ გვაქვს მნიშვნელოვანი პრობლემები? რა თქმა უნდა, არა. სტატისტიკის მიხედვით, პანდემიის გარეშე I-XII კლასების დაახლოებით 30 000 მოსწავლე იმყოფება სასწავლო პროცესის მიღმა სხვადასხვა მიზეზის გამო. ცხადია, კრიზისის პირობებში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდებოდა. დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენის მთავარი მიზეზი არის შესაბამისი დივიანებისა და ინტერნეტის არქონა. ხოლო ისეთი ცალკეული შემთხ-



ვევები, როცა ონლაინსწავლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა თავად სისტემის თანამშრომლების ინდივიდუალური დაინტერესებისა და ძალისხმევის შედეგად აღმოიფხვრა (მაგალითად, ახალციხის მუნიციპალიტეტში რესურსცენტრის თანამშრომლის მიერ მოსწავლისთვის მობილურის ყიდვით ან სკოლის დირექტორის მიერ მოსწავლისთვის ინტერნეტის შეძენით), ცხადია, სამომავლოდ არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს.

ასევე, ძნელია ვისაუბროთ სწავლა-სწავლების ხარისხზე, რადგან შესაბამისი სიღრმისეული კვლევა არ ჩატარებულა. თუმცა, ზოგიერთმა რესურსცენტრმა თავისი ინიციატივით აპრილის დასაწყისში უზრუნველყო მოსწავლეთა გამოკითხვა. მაგალითად, კითხვაზე – რამდენად მოსწონთ ან არ მოსწონთ მოსწავლეებს დისტანციური სწავლების ფორმატი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

7000-ზე მეტი გამოკითხული მოსწავლიდან 46% ამბობს, რომ მოსწონს ან ძალიან მოსწონს. ნეიტრალურად იყო განწყობილი 43%. ხოლო 11%-ს არ მოსწონს სწავლების ეს ფორმა. ძველი თბილისის სკოლების 7600 მოსწავლიდან 62.7%-ს მოსწონს და ძალიან მოსწონს სწავლების ეს ფორმა, ნეიტრალურად იყო განწყობილი 24%, ხოლო 12%-ზე მეტს არ მოსწონს დისტანციური სწავლება. პედაგოგთა მიერ მიცემული ონლაინდავალებები კი საინტერესო და უმეტესად საინტერესო აღმოჩნდა ზუგდიდის მოსწავლეების 92%-სთვის და ძველი თბილისის რაიონის მოსწავლეების 84%-სთვის.

მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცით შეიცვალა თუ არა სასწავლო წლის ბოლოსთვის მოსწავლეთა განწყობები ან რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობდა თავად სასწავლო პროცესი, მაინც შეიძლება აღინიშნოს მთელი რიგი პოზიტიური მომენტები, რაც ვირუსის მიზეზით სწავლა-სწავლების ფორმის იძულებითმა ცვლილებამ მოიტანა:

- გარდა Microsoft-ის პროდუქტებისა, არენაზე გამოჩნდა არაერთი სხვა სასწავლო პლატფორმა, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული სასწავლო პლატფორმები (Edu.Feedc.com, tvschool.ge), რომლებიც გააქტიურდნენ და უფასო მომსახურება შესთავაზეს სკოლებს. დღესდღეობით ისინი ცდილობენ მაქსიმალურად მოერგონ სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. სკოლების მხრიდან ონლაინპლატფორმებით მზარდი დაინტერესება იმას მოწმობს, რომ ეს მიმართულება კიდევ უფრო განვითარდება და სხვა მოთამაშეებიც გამოჩნდებიან ვირტუალურ არენაზე. მაგალითად, tvschool.ge-ს პლატფორმაზე ამჟამად რეგისტრირებულია 41000-ზე მეტი მასწავლებელი და 136 000-ზე მეტი მოსწავლე (მოსწავლეებს შეუძლიათ რეგისტრაციის გარეშეც შევიდნენ, ამდენად მათი რეალური რიცხვი უფრო მეტია). მასწავლებლები არა მხოლოდ მომხმარებლები არიან, არამედ დაახლოებით 2000-მდე პედაგოგი თავად ქმნის დავალებებს ამ პლატფორმისთვის. ამას ისიც დაემატა, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ თბილისის 34 საპილოტე სკოლის პედაგოგებს, რომლებიც კომპლექსურ დავალებებს ქმნიან ყველა საგნისთვის, შესაძლებლობა აქვთ ამ პლატფორმაზე გააზიარონ თავისი დავალებები.



- სკოლებმა/პედაგოგებმა თვალნათლივ დაინახეს ტექნოლოგიების მომავალი და მისი გარდაუვალი საჭიროება სწავლა-სწავლების პროცესში; მასწავლებლებმა/სკოლებმა, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად აამუშავეს თავისი შინაგანი რესურსები, თამამად მიიღეს ონლაინკომუნიკაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და დაიწყეს ონლაინსწავლება. ამ პროცესში მათ შეიძინეს, გაიუმჯობესეს და მრავალმხრივ განივითარეს ტექნოლოგიური თუ საკომუნიკაციო უნარები;
- სწავლების ფორმის ცვლილებამ ძალაუნებურად შეცვალა პედაგოგების გაკვეთილისთვის მზადების პროცესი. გაკვეთილი აღარ არის ისეთი, როგორც პანდემიამდე იყო. არაერთ მასწავლებელს აღუნიშნავს, რომ ონლაინგაკვეთილი ტრადიციულსგან განსხვავებულ დაგეგმვას და მასწავლებლის მეტად მომზადებას ითხოვს. ფორმის ცვლილებამ თითქოს ბუნებრივად უბიძგა მასწავლებლებს შინაარსის ცვლილებისკენ;
- სწავლების ფორმის რადიკალურ ცვლილებას და მის თანმდევ პროცესებს ის ეფექტიც ექნება, რომ მომავალში პედაგოგები თამამად შეძლებენ სხვა უფრო სიღრმისეული გამოწვევებისა და ცვლილებების მიღებას და უფრო მეტი მზაობა ექნებათ სასწავლო პრაქტიკის გარდაქმნისა;
- მასწავლებლებმა აქტიურად დაიწყეს თავისი გამოცდილების გაზიარება უკლებლივ ყველა იმ მიმართულებით, რაც უკავშირდებოდა დისტანციური სწავლების შინაარსობრივ, ტექნიკურ თუ ეთიკურ მხარეებს; საქმიანი კუთხით გამოცდილების გაზიარება ასეთი დოზით ვეჭვობ, სხვა დროს მომხდარიყო ჩვენს სისტემაში;
- გაიზარდა სკოლების მხრიდან გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების სიხშირეც, ეს გადაწყვეტილებები ზოგჯერ არასტანდარტულ მიდგომებსა და მოქმედებებსაც ითხოვდა ოპერატიულ რეჟიმში. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას საგანმანათლებლო რესურსცენტრებზეც. თითოეულმა რესურსცენტრმა ზუსტად იცის თავისი სკოლების ყველა მოსწავლის საჭიროება დისტანციურ რეჟიმში ჩართულობის თუ აკადემიური მოსწრების კუთხით;
- მოსწავლეებმა გამოიმუშავეს უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და თვითრეგულირების უნარები;

- გაიზარდა მშობელთა ჩართულობა და ზოგადად გაკვეთილებით დაინტერესება; მშობლები არა მხოლოდ ხელს უწყობდნენ შვილებს დავალებების მომზადებისას, არამედ სიამოვნებით უსმენდნენ მათი მასწავლებლების გაკვეთილებსაც;
- დაბოლოს, გაჩნდა სწავლა-სწავლების პროცესის არსებითად გარდაქმნის რეალური შესაძლებლობა კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების აქტიური შემოტანით სასწავლო პროცესში. ამ უკანასკნელს ცოტა უფრო მეტად განვაგრცობ.

შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმითაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მოსწავლეთა შეფასების პროცესში.

ამონაწერი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

თუმცა, სასწავლო პრაქტიკაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სკოლებში მაინც უფრო მეტად პოპულარულია ტესტები (მზასავარაუდო პასუხების შეთავაზებით) და უკეთეს შემთხვევაში – ე.წ. საკონტროლო წერები.

მას შემდეგ, რაც პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“ დაიწყო, 16 სკოლაში კომპლექსური დავალება მთავარი სიტყვა გახდა; ხოლო რაც დისტანციური სწავლების პერიოდში მოსწავლეთა შეფასებაზე მიდგა საქმე, სამინისტროს მიერ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, კომპლექსური შემაჯამებელი აქტივობა, შეიძლება ითქვას, ყველა მასწავლებლისთვის აქტუალური გახდა:

■ თუკი მოსწავლეს არ დააკმაყოფილებს წლიური ქულა, მას ქულის ამაღლება კომპლექსური დავალების ჩაბარებით შეუძლია;

- თუ მოსწავლე შეფასების გარეშე დარჩა I სემესტრის რომელიმე საგანში, მას ამ შეფასების მიღება კომპლექსური დავალების შესრულებით შეუძლია;
- მოსწავლეები, რომლებიც ექსტერნატის წესით ჩაირიცხნენ, საგნის/საგნების წლიური ქულების მიღება შეუძლიათ კომპლექსური დავალების შემკვრებით;
- მოსწავლეები, რომლებმაც სტატუსი II სემესტრიდან აღიდგინეს და შესაბამისად არ აქვთ I სემესტრის შეფასებები, უნდა შეასრულონ კომპლექსური დავალებები;
- მოსწავლემ, რომელმაც გააცდინა კონკრეტული საგნისთვის დათმობილი 30% და მეტი, ამ საგანში შეფასება შეიძლება მიიღოს კომპლექსური დავალების საფუძველზე;
- მოსწავლე, რომელიც საზღვარგარეთ სწავლობდა, ინდივიდუალური გეგმით საგნის/საგნების დაძლევა უღიარდება კომპლექსური დავალების შესრულებით.

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების გუნდის მიერ მომზადდა მეთოდური რეკომენდაციები კომპლექსური დავალებებით მოსწავლეთა შეფასებისთვის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), ასევე ყველა საგნისთვის გზამკვლევები, სადაც კომპლექსური დავალებების კონკრეტულ ნიმუშებთან ერთად მოცემულია დავალების შექმნის ალგორითმიც.

კომპლექსური დავალებების ასობით ნიმუში შექმნეს თავად პედაგოგებმა. ამ მხრივ თბილისისა და რუსთავის „ახალი სკოლის მოდელის“ 34 სკოლა გამორჩეულად აქტიურობდა. რესურსცენტრების დახმარებით და ჩართულობით რეგიონების მასშტაბით შეიქმნა სასკოლო ქსელები, სადაც რეფორმის 166 სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის ექსპერტების, მათი ასისტენტების, საგანმანათლებლო ლიდერობის სპეციალისტებისა და ტექნოლოგიების ექსპერტების დახმარებით დისტანციური სწავლების საუკეთესო პრაქტიკას უზიარებდნენ სხვა სკოლებს.

პანდემიის პერიოდში მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა დამოუკიდებელ ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „განათლების კოალიცია“, რომელმაც მობილიზება გაუკეთა სხვადასხვა საგნის პედაგოგებს და ამ დრომდე უკვე შექმნილია 200-ზე მეტი კომპლექსური დავალება თავისი სასწავლო რესურსებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკაში, სამოქალაქო განათლე-

ბაში, გეოგრაფიაში, წიგნიერებაში. ისინი განთავსებულია პორტალზე el.ge .

სახელმწიფოსა და დამოუკიდებელ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ასევე კარგი მაგალითია Microsoft-ის პარტნიორ ორგანიზაციასთან Mindworks ერთობლივ პროექტზე მუშაობა. პროექტი გულისხმობს Minecraft Education Edition-ის საპილოტე დანერგვას ონლაინ და შერეული სწავლის მოდელების მხარდასაჭერად. Minecraft, ერთი მხრივ, მასწავლებლებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, სასწავლო პროცესი თამაშის ელემენტებით გაამრავალფეროვნონ, მეორე მხრივ, სასწავლო გარემოში მოსწავლეებს შეუძლიათ იყვნენ შემოქმედებითები, ჩაატარონ ექსპერიმენტები და იმუშაონ პრობლემების გადაჭრაზე. ის იდეალური გარემოა მოსწავლეებთან კომპლექსურ დავალებებზე სამუშაოდ.

ბემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები შეიძლება არც განხორციელებულიყო რუტინულ პირობებში. ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა ამ მონაპოვარის შენარჩუნება და გამოყენება ჩვეულ რეჟიმში სწავლის განახლების შემდეგაც.

ახლა კი მთავარი კითხვა – როგორ დავბრუნდეთ სკოლაში

როგორც მედიცინის სფეროს წარმომადგენლები ამბობენ, ვირუსი არსად წასულა და არსებობს საფრთხე (მით უფრო, აგრილებასთან ერთად), რომ მან კვლავ შემოგვიტოს. როგორ ვიცხოვროთ და ვისწავლოთ ვირუსთან ერთად უსაფრთხოდ.

კვლევები აჩვენებს, რომ მსოფლიოში დაავადებულ პირთა მხოლოდ 2%-ს შეადგენენ ბავშვები. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო სკოლების მიმართ. ვინაიდან სკოლაში ბავშვების გარდა არიან პედაგოგებიც და თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში პედაგოგების საშუალო ასაკი საკმაოდ მაღალია, ისინი რისკის ჯგუფს შეადგენენ.

ზოგიერთმა ქვეყანამ განაახლა სასწავლო პროცესი, ზოგიერთმა კი კვლავ შეაჩერა ვირუსის ახალი ტალღის გამო. საქართველოში მთავრობის გადაწყვეტილებით, სექტემბრიდან ჩვეულ რეჟიმში იგეგმება სწავლის დაწყება.

როგორია საერთაშორისო პროტოკოლები და რეკომენდაციები? ერთადერთი, რაზეც ქვეყნების უმეტესობა

განათლების პროცესის მართვა კრიზისულ პერიოდში

თანხმდება, სკოლებისთვის, ამ პირობებში, ყველაზე მისაღები სწავლების შერეული ე.წ. blended მეთოდი იქნება. თუ სკოლები სისტემატურად შეათავსებენ დისტანციურ და პირისპირ (face-to-face) სწავლებას, კრიზისის შემთხვევაში, რადიკალური ცვლილებების ნაცვლად მოუწევთ მხოლოდ პირისპირ და დისტანციური სწავლების ფარდობითი დონის ცვლილება.

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების წესების დაცვის კუთხით კონტროლი უფრო რთულია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების დაბრუნება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სრულფასოვ-

ნად განახლდეს სკოლაში სიარულის შესაძლებლობა პირველკლასელთათვის, ვინაიდან სწავლების პირველ წელს უყალიბდება მოსწავლეს დამოკიდებულება სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ, ასევე გამოუმუშავდება აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან მონაწილედ გასახდომად.

სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა სკოლა სწავლების ორგანიზების განსხვავებულ ფორმებს უკვე იყენებს, მთავარი მიზანი კი მოსწავლეთა შემცირებული რაოდენობაა ერთდროულად:

ა. შესაძლოა ერთცვლიანი სკოლები გადავიდნენ 2 ცვლაზე და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ ცვლების მიხედვით.

| | საფეხური/ცვლა | დანყ. I-IV | დანყ. V-VI | საბაზო | საშუალო |
|-------------|---------------|------------|------------|--------|---------|
| ვარიანტი I | დილის ცვლა | ✓ | ✓ | | |
| | შუადღის ცვლა | | | ✓ | ✓ |
| ვარიანტი II | დილის ცვლა | ✓ | | | ✓ |
| | შუადღის ცვლა | | ✓ | ✓ | |

ბ. შესაძლოა სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ დღეების მონაცვლეობით. საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა კი უფრო მეტი დღე დისტანციური სწავლების ფორმატში გაატარონ.

| დღე/საფეხური | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი |
|--------------|----------|-------------|-------------|-------------|-------------|
| დანყებითი | ✓ | ✓ | დისტანციური | ✓ | ✓ |
| საბაზო | ✓ | დისტანციური | ✓ | დისტანციური | ✓ |
| საშუალო | ✓ | დისტანციური | დისტანციური | ✓ | დისტანციური |

გ. ქვემოთ მოცემული მოდელის გამოყენება შეიძლება ერთცვლიანი და ორცვლიანი სკოლებისთვის – როცა პარალელური კლასები სხვადასხვა დღეებში დადიან.

| | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი |
|-----------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| I კვირა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა |
| II კვირა | VII ^ბ | VII ^ბ | VII ^ბ | VII ^ბ | VII ^ბ |
| III კვირა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა |
| IV კვირა | VII ^ბ | VII ^ბ | VII ^ბ | VII ^ბ | VII ^ბ |
| V კვირა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა | VII ^ა |

დ. ეს შეთავაზება შეიძლება მხოლოდ ერთცვლიანმა სკოლებმა გამოიყენონ – როცა ცვლაც დამატებულია და ყველა კლასიც ყოველდღე არ დადის. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებულია.

| | | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი |
|-----------|------------|----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| I კვირა | დილის ცვლა | I-IV | I-IV | I-IV | V-VI | V-VI |
| | დღის მ/ნ | VII-IX | VII-IX | VII-IX | X-XII | X-XII |
| II კვირა | დილის ცვლა | V-VI | V-VI | V-VI | I-IV | I-IV |
| | დღის მ/ნ | X-XII | X-XII | X-XII | VII-IX | VII-IX |
| III კვირა | დილის ცვლა | I-IV | I-IV | I-IV | V-VI | V-VI |
| | დღის მ/ნ | VII-IX | VII-IX | VII-IX | X-XII | X-XII |

საბოლოოდ, თითოეულმა სკოლამ თავად უნდა შეიმუშაოს მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული საგაკვეთილო ცხრილი, რომელიც შეიძლება განსხვავებული იყო კლასებისა და საფეხურების, ასევე, პერიოდების მიხედვით.

როგორ შეიძლება დაორგანიზდეს სასწავლო შინაარსი – სასკოლო კურიკულუმი

მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა საკმაოდ მოქნილი დოკუმენტია, რომელიც წარმოადგენს ზოგად ჩარჩოს, სადაც მკაფიოა და ჩამოყალიბებულია სწავლა-სწავლების მიზნები და ორიენტირები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, ერთი მხრივ, სწავლა-სწავლების პროცესში გეზს აძლევს სკოლებსა და მასწავლებლებს და, ამავე დროს, მათ უტოვებს დიდ შემოქმედებით თავისუფლებას. ამ თავისუფლების ფარგლებში სკოლას/კონკრეტულ მასწავლებელს შეუძლია თავად განსაზღვროს და დააკონკრეტოს, რომელი საკითხების გავლით მიაღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნების სტანდარტებით დადგენილ მიზნებს.

სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები (რა უნდა იცოდეს და რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს, რა ღირებულებები უნდა ჩამოუყალიბდეს მას) თითოეული სავალდებულო საგნისთვის (ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა და სხვა) სასწავლო შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ჩამოყალიბებული. ისინი განსაზღვრულია საფეხურების

(I-IV, V-VI, VII-IX კლასები) და არა კონკრეტული კლასების მიხედვით.

ამდენად, სასწავლო შედეგები და სამიზნე ცნებები საგნის მასწავლებლისთვის გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, ყოველი კონკრეტული სასწავლო წლისთვის კი პედაგოგი თავად ქმნის საკუთარ პროგრამას/კურიკულუმს; ანუ განსაზღვრავს თუ რა საკითხებს, რესურსებს, აქტივობებსა და დავალებებს გამოიყენებს სამინისტროს მიერ დასახული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. გრძელვადიანი მიზნები კი კომპლექსური ამროვნების განვითარებას მოითხოვს, რაც საკითხთა დიდი რაოდენობის დაფარვით კი არა, ცალკეული საკითხების ღრმად დამუშავებით ხორციელდება /ნ. სილაგაძე/.

მაგალითად, ისტორიაში, VII-IX კლასებისთვის, სტანდარტის მიხედვით, განსაზღვრულია სულ სამიზნე ცნება: „წყარო და მისი ინტერპრეტაცია“, „დრო“, „სივრცე“, „საზოგადოება“, „ძალაუფლება“, „ისტორიული მოვლენა/პროცესი“, რომელთა სიღრმისეული გააზრების შემთხვევაშიც მოსწავლე შეძლებს სასწავლო შედეგების დაძლევას.

მასწავლებელი რომელ კონკრეტულ საკითხებს შეარჩევს ამა თუ იმ ეპოქიდან სამიზნე ცნებების დასამუშავებლად, ეს მისი გადასაწყვეტია (იქნება ეს ცალკეული ომები, აჯანყებები, რევოლუციები, დიპლომატიური მოლაპარაკებები, ამა თუ იმ მმართველის მოღვაწეობა თუ სხვა რამ).



მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საბაზო საფეხურის სტანდარტის მიხედვით, განსაზღვრულია სულ 10 სამიზნე ცნება: **კომპოზიცია, ჟანრი, ტექსტის სტრუქტურა-ორგანიზება, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი, ინტერტექსტუალობა, საკომუნიკაციო სიტუაცია, ინტერპრეტირება, გრამატიკა, სტრატეგიები**. მაგალითისთვის, რომ ავიღოთ სამიზნე ცნება „კომპოზიცია“, მისი არსობრივი სიღრმეების დაუფლება შესწავლილი ტექსტების რაოდენობაზე კი არა, კონკრეტული ნაწარმოებისთვისებრივ დამუშავებაზე დამოკიდებული. მართლაც, თუკი მოსწავლე კონკრეტულ ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში ჩასწვდება, როგორ უკავშირდება ცალკეული კომპოზიციური ელემენტები ერთმანეთს და როგორ ქმნიან ისინი ნაწარმოების მთლიანობას, იგი შეიძენს ღრმა ცოდნას, რომელსაც ნებისმიერი სხვა ნაწარმოების დამუშავებისას გამოიყენებს. ამდენად, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება საშუალებას გვაძლევს, რომ არ ვიყოთ ტექსტებისა თუ საკითხების რაოდენობაზე დამოკიდებული და მცირე რაოდენობის ტექსტების გავლის პირობებშიც შევძლოთ დასახული მიზნების მიღწევა /თ. ჯაყელი/.

მაგალითად, ბიოლოგიაში, საბაზო საფეხურზე გასააზრებელი ცნებებია: **კვლევა, სტრუქტურა და ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება, ბიომრავალფეროვნება, ჯანმრთელობა და დაავადება**.

კონკრეტულად VII კლასის ბიოლოგიის შინაარსი რამდენიმე მსხვილ თემას ფარავს, როგორცაა: მიკროორგანიზმები, მცენარეები, ცხოველები და ა.შ.. რა თქმა უნდა, სასურველია, მოსწავლემ და მასწავლებელმა ყველა თემაში შეძლონ ზემოხსენებულ სამიზნე ცნებებზე მუშაობა და გააზრება. თუმცა, ეს რამდენიმე თემის ფარგლებში მაინც თუ მოხერხდა, ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნის მიზნები მიღწეული იქნება საფეხურის ბოლოსთვის.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცხადია განსაზღვრულია პრიორიტეტები, რომელიც მასწავლებლებმა საგნობრივ საკითხთა შერჩევას უნდა გაითვალისწინონ (მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ევალებათ მოსწავლეებს აუცილებლად ასწავლონ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები, ისტორიის მასწავლებლებმა კი საკითხების შერჩევას აქცენტი გააკეთონ საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე და ისტორიული ეპოქების არსობრივი მახასიათებლების გამოკვეთაზე), თუმცა ეს სრულიადაც არ ზღუდავს მასწავლებლის შემოაღწერილ შემოქმედებით თავისუფლებას.

ამგვარი მოქნილობა კიდევ უფრო ფასეული და ხელსაყრელია სკოლებისთვის სწავლების მოდელების იძულებითი ცვლილებების დროს.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ როგორი მკაფიო და მოქნილიც არის საგნობრივი სტანდარტები, ასევე უნდა შეიცვალოს და მეტად მოქნილი გახდეს სწავლა-სწავლების ადმინისტრირების ზოგიერთი მიმართულება. პირველ რიგში, ეს ეხება მოსწავლეთა ქულებით შეფასებას სხვადასხვა კომპონენტში. სჯობს ცალკეული საგნების პედაგოგებმა გადაწყვიტონ, როგორ და რამდენჯერ შეაფასებენ თავის მოსწავლეებს, როგორც ეს ხდებოდა დისტანციური სწავლების პერიოდში.

ვფიქრობ, ის რეალური დანაკარგი, რაც პანდემიამ მოიტანა – არა იმდენად აკადემიური შეფერხება, რამდენადაც ცოცხალი ურთიერთობების არქონა – შეიძლება ანაზღაურდეს ყველა იმ დადებითი მონაპოვარის შენარჩუნებით და შემდგომი განვითარებით, რაც პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, სკოლებმა შეიძინეს განსხვავებული უნარებისა და გამოცდილების სახით.

გიორგი ჭანტურია

განათლების კოალიციის დირექტორი, თბილისის 71-ე საჯარო სკოლისა და კერძო სკოლა „ქორალის“ მოქალაქეობისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი



როგორ გავხსნათ სკოლები სექტემბერში

სტატიაში ზოგადად არის მიმოხილული პანდემიის შემდგომი სიტუაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. გარდა ამისა, მოცემულია რამდენიმე ზოგადი რეკომენდაცია თუ რა ზომებია გასატარებელი იმისათვის, რომ სკოლები „ჩვეულებრივ“ რეჟიმში დაუბრუნდნენ სასწავლო პროცესს.

COVID-19 პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში, მიმდინარე წლის 9 მარტიდან სასწავლო პროცესი შეწყდა როგორც სკოლებში, ასევე სკოლამდელ დაწესებულებებში. ამის შემდგომ, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 21 მარტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რის შედეგადაც მოსწავლეებს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულება დისტანციური სწავლების ფორმატით მოუწიათ. განათლების სისტემა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა – ერთი მხრივ, არ უნდა შეეზღუდა განათლების მიღების უფლება და, მეორე მხრივ, უნდა დაეცვა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და მთავრობის მიერ შემოღებული რეგულაციები.

ეს ყველაფერი ციფრებში რომ ავსახოთ, დაიხურა 1,621 სკოლამდელი და 2,300-ზე მეტი სასკოლო დაწესებულება. 164,605 სკოლამდელი ასაკის და 592,000 სასკოლო ასაკის ბავშვი – აღარ დადიოდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სახლიდან ღებულობდა განათლებას, უფრო სწორად, უნდა მიეღო. ბუნებრივია,

ამ მხრივ უამრავი პრობლემა გამოიკვეთა, ყველაზე თვალშისაცემი ტექნოლოგიებსა და ინტერნეტთან წვდომის პრობლემა და მოსწავლეებსა და მოსწავლეებში ICT უნარების ნაკლებობა გახდა; ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდები.

დისტანციური განათლება მოითხოვს სისტემურ მომზადებას და ეტაპობრივ დანერგვას, თუმცა, პანდემიის პირობებში, ქვეყნების უმრავლესობას და მათ შორის

ონლაინ რესურსების გამოყენება შეუძლია მოსწავლეების/სკოლების მაქსიმუმ მეხუთედს, მოსწავლეებს კი სჭირდებათ კომპიუტერი, ინტერნეტი ან, ამ რესურსების არქონის შემთხვევაში, ნაბეჭდი მასალა.

რაც შეეხება დაწყებით საფეხურს, აქაც PIRLS 2016 (მე-4 კლასის შედეგები) მიხედვით, ქალაქის სკოლების მოსწავლეთა 5%-ზე ნაკლებს სახლში „დაბალი“ წვდომა აქვს ციფრულ მოწყობილობებზე, ხოლო სოფლად



საქართველოს, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა დაჩქარებული წესით, წინასწარი მომზადების გარეშე მოუხდა.

კომპიუტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შესახებ შიდა მონაცემების შეგროვება სამინისტრომ 2020 წლის მარტში დაიწყო. ბუსტი მონაცემები უცნობია, თუმცა, საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ მაგალითად, საბაზო საფეხურზე ონლაინ სწავლების წარმართვა და

მცხოვრებ მეოთხეკლასელ მოსწავლეთა მეხუთედს სახლში საერთოდ არ აქვს კომპიუტერი ან ინტერნეტი და არც კითხვისთვის განკუთვნილი ციფრული მოწყობილობა მოეპოვება.¹

არათანაბარია საგანმანათლებლო რესურსების განაწილება – ქალაქში მდებარე კერძო სკოლების მოსწავლეთა მესამედს (31.18%) ბევრი რესურსი აქვს სახლში მაშინ, როდესაც სოფლად მდებარე საჯარო სკოლების

მოსწავლეთა მხოლოდ 3.6%-ს მიუწვდება ხელი ანალოგიური მოცულობის რესურსებზე².

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე, მტკიცებულებების გარეშე რთულია იმაზე მსჯელობა თუ როგორ გაუმკლავდა განათლების სისტემა პანდემიის გამოწვევებს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შექმნილმა სიტუაციამ განათლების სისტემისათვის განვითარების ახალი შესაძლებლობები შექმნა და საფუძველი ჩაუყარა ინიციატივებს, რომელიც გრძელვადიან პერიოდში დადებით გავლენას მოახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე და მოსწავლეების მიღწევებზე. თუმცა, ამაზეც სხვა დროს იყოს.

ახლა, გადავიდეთ სტატიის უფრო მნიშვნელოვან ნაწილზე. როგორც მოსალოდნელია, კორონა ვირუსი კიდევ დიდხანს შეგვაწუხებს და იქნება ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე ამბობს: „ხალხს ჰგონია, რომ კორონა დამთავრდა, მაგრამ ის არსად არ წასულა, კვლავ ჩვენთან არის“. ჟურნალისტის კითხვაზე – „დიდი ხნით?“ ის პასუხობს – „ერთი წელი მაინც... შემოდგომის ბოლოდან ძლიერ მეორე ტალღას ველით – ამის ალბათობა დიდია, ზამთარში კი – ეს ვირუსი ძალიან გააქტიურდება.“³

ანალოგიური პროგნოზებია საერთაშორისო დონეზეც. თუ საგანმანათლებლო სფეროს გადავხედავთ, მსოფლიოში ერთ-ერთმა წამყვანმა დაწესებულებამ, კემბრიჯის უნივერსიტეტმა 2021 წლის ბაფხულამდე ყველა ლექცია და პირისპირ შეხვედრა ონლაინ რეჟიმში გადაიტანა. სავარაუდოდ, ამ გადაწყვეტილებას ბევრი გაიზიარებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ დისტანციური განათლების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია და საჭიროებს მეტ ძალისხმევას.

ქვემოთ შევეცდები პუნქტობრივად ჩამოვწეროზოგადი რეკომენდაციები, რაც გასათვალისწინებელია სკოლების გახსნისა თუ გაკვეთილების კვლავ ონლაინ რეჟიმში გადატანისას.

■ **მონაცემები და ისევ მონაცემები:** მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას გვეყონდეს ზუსტი მონაცემები თუ როგორ გაუმკლავდნენ სკოლები, მასწავლებლები, მოსწავლეები პანდემიას. ეს მონაცემები შესაძლებელია შეგროვდეს სწრაფი გამო-

კითხვის მეშვეობით (rapid response survey) თითოეულ სამიზნე ჯგუფთან. ამ შემთხვევაში, აუცილებელი იქნება განსხვავებული კონტექსტების გათვალისწინება და, შესაბამისად, განსხვავებული ინტერვენციების განხორციელება.

რაც მთავარია, საჭიროა ზუსტად ვიცოდეთ რამდენ ბავშვს და რამდენ მასწავლებელს არ აქვს წვდომა ინტერნეტსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე. უფრო კონკრეტულად, ზუსტად ვის არ აქვს წვდომა ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე. ჩემი აზრით, ამ პრობლემის გადაჭრა აუცილებელია თუნდაც მათთვის მოწყობილობების შეძენით და, ასევე, ინტერნეტით უზრუნველყოფით, რადგან ზარალი გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე ამ ტიპის ფინანსური დანახარჯები.

■ **კვლევა:** მნიშვნელოვანია შევისწავლოთ თუ რამდენად არიან მზად მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია გადაეწყონ ახალ მიდგომებზე. კონკრეტულად, შეუძლიათ მათ საპრევენციო ღონისძიებების გატარება? კონტროლის მექანიზმების ამოქმედება? გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ რა სოციო-ეკონომიკურ შედეგებს მივიღებთ იმ შემთხვევაში თუ ბავშვები არ ივლიან სკოლაში?

■ **საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი** – ეს კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ პრობლემის წინაშე მთელი მსოფლიო დგას და ყველა სხვადასხვაგვარად ცდილობს გაუმკლავდეს მას. აუცილებელია, შევისწავლოთ რამ იმუშავა სხვა ქვეყნებში, ასევე, რატომ იმუშავა და როგორ შეიძლება ჩვენ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება?

■ **ინტერნეტი და მონაცემები** – ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, კარგი იქნება ის ცალკეც გამოიყოს და დამატებით განიხილოს. იმ მოსაზრებას, რომ აუცილებელია მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერნეტითა და შესაბამისი მოწყობილობებით აღჭურვა, მიმყარებს გაეროს ბავშვთა ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის წყვეტა სერიოზულ უარყოფით შედეგებს იწვევს ბავშვებში.

ეს საკითხი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია იმ ბავშვებთან მიმართებაში, ვინც უფრო მოწყვლადი და მარგინალიზებულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც სოციალურად დაბალ ფენას განეკუთვნება (მაგალითად, სოციალურად დაუცველი ჯგუფები) და არ აქვს სწავლისათვის საჭირო ინვენტარზე წვდომა. აქვე უნდა ითქვას, რომ რაც უფრო ხანგრძლივი დროით რჩებიან ეს ჯგუფები განათლების მიღმა, მით მეტია რისკი, რომ ისინი აღარ დაუბრუნდებიან ფორმალურ განათლებას.

გარდა ამისა, სკოლის გარეთ ყოფნა ზრდის რისკებს, რომელიც დაკავშირებულია ისეთ პრობლემურ საკითხებთან, როგორცაა ნაადრევი ფეხმძიმობა, სექსუალური ექსპლუატაცია, ნაადრევი ქორწინება, ბავშვთა მიმართ ძალადობა და სხვა.

■ **ტრენინგები** – ამ მხრივ, აუცილებელია ზაფხულის პერიოდის ნაყოფიერად გამოყენება და მასწავლებლების გადამზადება დისტანციური სწავლების მიმართულებით. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ისინი უნდა გადამზადდნენ ფიზიკური დისტანცირებისა და სასკოლო ჰიგიენის პრაქტიკების უკეთ გაცნობის კუთხით – ანუ რა სიტუაციაში როგორ მოიქცნენ. იგივე მიემართება სკოლის დასუფთავების სამსახურს. მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, როგორ ჩაატარონ სკოლაში სადებიზინფექციო სამუშაოები, რა ხელსაწყოები უნდა გამოიყენონ, როგორ დაიცვან თავი და ა.შ..

■ **დამხმარე მასალები** – საჭირო იქნება დამხმარე მასალების შემუშავება სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის; მაგალითად, როგორ უნდა დაუჭირონ მხარი მშობლებმა თავის შვილებს/მოსწავლეებს, რა როლი აქვთ მათ ამ პროცესში და ა.შ.. მასწავლებლების მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც ტექსტური, ასევე ვიზუალური, მათ შორის, განმარტებითი/ინსტრუქციული და სასწავლო ვიდეო რესურსების შემუშავება; მაგალითად, როგორ უნდა ჩაატარონ ონლაინ გაკვეთილი; რა ტიპის დავალებები უნდა მისცენ ბავშვებს ასეთ სიტუაციაში; რა ტიპის შეფასებები არის სწორი დარა ფორმით უნდა მიაწოდონ ის მოსწავლეებს და ა.შ..

■ **ინტერნეტ უსაფრთხოება** – ეს საკითხი, ჩემი დაკვირვებით, ყველაზე ნაკლებ პრიორიტეტული და ნაკლებ ხაზგასმულია როგორც გადაწყვეტილებების მიმღებთა მიერ, ასევე განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები ინფორმირებულები იყვნენ ყველა იმ საფრთხის შესახებ, რაც ინტერნეტის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თავად მშობლებმა იცოდნენ როგორ აუხსნან ეს საკითხები ბავშვებს. ზემოხსენებული დამხმარე მასალების შემუშავებისას აღნიშნული კომპონენტი ერთ-ერთი წამყვანი უნდა იყოს.

■ **პროტოკოლები** – მნიშვნელოვანია კონკრეტული და ადვილად გასაგები პროტოკოლების შემუშავება ფიზიკური/სოციალური დისტანცირების ნორმებისა და სხვა საკითხების შესახებ. ამ მხრივ, შესაძლოა კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება და სხვა ზომების მიღება. გარდა ამისა, აუცილებელია პროტოკოლებში გათვალისწინებული იყოს ჰიგიენის საკითხები – მაგალითად, ხელების დაბანის პროცედურები. ამასთან, სკოლებს უნდა ჰქონდეთ დეტალურად გაწერილი პროცედურა იმ შემთხვევისთვის თუ სკოლის წარმომადგენლები ან ბავშვები შეუძლოდ გახდებიან.

■ **წყალი, ჰიგიენა და სანიტარია** – საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით – „წყალსა და სანიტარიაზე უფლების ხელმისაწვდომობა საქართველოს საჯარო სკოლებში“, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა, აღწერილია ის საგანგაშო მდგომარეობა, რაც ამ მიმართულებით არსებობს. მაგალითად, „2084 საჯარო სკოლიდან მხოლოდ მცირე ნაწილში თუ მოწმდება წყლისა და სანიტარული ნორმების დაცვა, თუმცა, გადაუჭრელ პრობლემად რჩება შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების შემუშავება“.

ამ პირობებში, ბუნებრივია, კორონა ვირუსის გარეშეც კი არ არის უსაფრთხო სკოლების გახსნა, ვირუსთან ერთად კი – საერთოდ დაუშვებელია. შე-



საბამისად, იქ სადაც საკითხის გადაჭრა მარტივადაა შესაძლებელი, სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას. სადაც ეს ვერ მოხდება, უნდა მოიძებნოს ალტერნატიული გზები.

■ **გამჭვირვალე და მონაწილეობით მართვა**—და ბოლო საკითხი, რომელიც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ეხება მართვის მოდელს, რომელსაც გადაწყვეტილების მიმღები პირები ირჩევენ. მიმაჩნია და დემოკრატიული მმართველობაც ამას ნიშნავს, რომ მართვა უნდა ხდებოდეს გამჭვირვალედ და სფეროში მომუშავე დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით. ეს საკითხი კიდევ უფრო გასათვალისწინებელია მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა ერთი პრობლემის წინაშე დგას, ანუ აქ არ არის განსხვავებული ინტერესები და ყველას ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი სრულიად პრაგმატული მიზეზი. ასეთ დროს, კრიტიკოსთა რიცხვი ყოველთვის კლებულობს, რადგან მონაწილეობითი პროცესის დროს ჩართული მხარეები საკუთარ თავს არ გააკრიტიკებენ. ხოლო, როდესაც ისინი გარიყულები არიან, კრიტიკა, ცხადია, მატულობს.

შეჯამებისათვის, უნდა ითქვას, რომ სამსჯელო და საფიქრალი გაცილებით ბევრია, ვიდრე ამ მოკლე სტატიაში არის წარმოდგენილი. თუმცა, ვფიქრობ, მსჯელობის დაწყებისა და განვითარებისათვის ბევრ ადამიანსა თუ ჯგუფებს შეიძლება დაეხმაროს აქ მოყვანილი საკითხები.

საოლოს
მართვა

1. Pirls 2016
2. Pirls 2016
3. კვირის პალიტრა



არჩილ სუმბაძე

„ბაქსვედის საერთაშორისო სკოლა – თბილისის“ დირექტორი

გამონვევები ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას: სხვათა გამოცდილება და ჩვენი საფიქრალი

ამ სტატიის მიზანია პანდემიის პირობებში მოქმედი საერთაშორისო სასკოლო პრაქტიკისა და გამოქვეყნებული სარეკომენდაციო გზამკვლევების მიმოხილვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც სკოლის ადმინისტრატორების ამჟამინდელი საფიქრალია ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. რა პირობებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით მოუწევთ სკოლებს 2020-2021 სასწავლო წლის შეხვედრა? ნარმოდგენილი წერილი ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა.

ამ სტატიის მკითხველ, ალბათ, ნებისმიერი თაობის წარმომადგენელს, რაც თავი გვახსოვს, 21-ე საუკუნეს მუდამ ცვლილებებისა და გადაფასებების საუკუნეს ვუწოდებდით. გამუდმებით ვახსენებდით ერთმანეთს, რომ ამ ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი უნარები დაკავშირებულია მოქნილობასთან, ადაპტირებასთან, ცვლილებების მართვასთან. განათლების სფეროს მოღვაწეები ზემოთ თქმულში დასარწმუნებლად, ხან დავოსის ფორუმის ჩანაწერებს ვიშველიებდით, ხან ელონ მასკისა და მარკ ცუკერბერგის ინსპირაციულ გამონათქვამებს ვაზიარებდით; გამუდმებით ვცდილობდით ერთმანეთისთვის შეგვეხსენებინა, რამდენად დიდატექნოლოგიებისა და ინოვაციების როლი ჩვენს ყოველდღიურობაში და, რომ წარმატებისათვის აუცილებელია ნებისმიერ ცვლილებას მომზადებული შევხვდეთ.

მიუხედავად ასეთი „წინაპირობებისა“, ამა წლის 2 მარტს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში გამოცხადებული რიგგარეშე არდადეგები ბევრს იმ კატეგორიის გადაწყვეტილება ეგონა, ბავშვებს ძალიან რომ ახარებთ ხოლმე – ცოტა ხნით სასკოლო დავალებებისგან გათავისუფლებასა და მეტ თავისუფალ დროსთან რომ

ასოცირდება. სინამდვილეში, გლობალური პანდემიის ტალღამ, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ და მრავალჯერ შეგონებულ ყველა ფრაზასა და ქმედებას ცვლილებებთან ადაპტირებისა და 21-ე საუკუნის უნარების შესახებ, უეცარი გამოცდა მოუწყო. კარგად ნაცნობი ტერმინი – „დისტანციური სწავლება“ უკვე არა აბსტრაქტულ ცნებად, არამედ კონკრეტულ გასაკეთებელ საქმედ მოგვევლინა თითოეულ სკოლაში.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში რა გზითა და ხარისხით მოახერხა ამ გამოწვევის პირველ ეტაპთან გამკლავება – ამისი შეფასება წინამდებარე სტატიის მიზანი არ გახლავთ. ფაქტი ისაა, რომ 2019-2020 სასწავლო წელი მაინც შედგა, რა თქმა უნდა, სირთულეებითა და კითხვის ნიშნებით, მაგრამ ასეა.

ახლა უფრო მნიშვნელოვანი შეკითხვების დრო მოდის. ფორსმაჟორში მიღებული გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, ბევრად მაღალი იქნება განათლების მესვეურთა და სკოლის ხელმძღვანელთა ანგარიშვალდებულება სექტემბრისთვის შესადგენ გეგმაზე. არადა, გადასაწყვეტი ამოცანა მართლაც ბევრია, როგორც ჩვენი შვილების ჯანმრთელობის, ისე მათი საგანმანათლებლო ამოცანების კუთხით.

იმ ფონზე, რომ ქვეყნების ნაწილმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ეტაპობრივი გახსნა დაიწყო, გადაწყვეტილებების მიღებამდე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება უცხოური გამოცდილების გაზიარება, თითოეული წარმატებული მაგალითისა თუ დაშვებული შეცდომის გაანალიზება. ის ამოცანები, რომელიც ახლა კანადის, ტაივანის, გერმანიის, ისრაელის, დანიის, იაპონიის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების სკოლებს უდგათ, მალე თითოეული ჩვენი დირექტორის, მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის წინაშე დადგება.

ამ სტატიის მიზანია, სწორედ პანდემიის პირობებში მოქმედი საერთაშორისო სასკოლო პრაქტიკისა და გამოქვეყნებული სარეკომენდაციო გზამკვლევების მიმოხილვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც სკოლის ადმინისტრატორების ამჟამინდელი საფიქრალია ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას.

საბაზისო კრევენციული ღონისძიებები – საწყისი სამედიცინო პროცედურა

სკოლების გახსნის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა, რომელიც სხვა ბევრი ტიპის დაწესებულებისთვის უკვე



საქართველოშიც ამუშავებულია, გახლავთ ე.წ. თერმოსკ-რინინგი და პირველადი დიაგნოსტიკა. ამ პირობის შესრულება, ჯერ კიდევ ბავშვის სკოლაში წამოსვლამდე, მშობელთან კომუნიკაციით იწყება.

თითოეული მშობელი ავსებს სპეციალურ კითხვარს ან აპლიკაციას, რომლითაც ადასტურებს, რომ ის და მისი ოჯახის არცერთი წევრი არ წარმოადგენს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ რისკ ჯგუფს. მიღებული ინფორმაცია გადის შესაბამის შემოწმებას და სკოლისგან ავტორიზებული კომპეტენტური პირის დასტურის შემდეგ, მშობელს ეძლევა უფლება გამოუშვას შვილი სკოლაში. ამჟამინდელი გამოცდილებით, ამ ღონისძიებას არ აქვს ერთჯერადი სახე და კითხვარით/აპლიკაციით მიღებული ინფორმაცია პერიოდულად განახლებადია. ამ თვალსაზრისით, ტაივანის გამოცდილება ძალიან ღირებულია, რადგან იქ ამ პროცესს ელექტრონული აპლიკაციით, მინიმალური დროის დანახარჯით ახორციელებენ.

სკოლის ტერიტორიაზე შესვლის პროცესს უკვე სკოლის მიერ სპეციალურად მომზადებული და აღჭურვილი პერსონალი აკონტროლებს. თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად მოწმდება ყველა შესაძლო სიმპტომზე, რომელიც ზედაპირულად დადგენადია და შეიძლება უკავშირდებოდეს ახალ კორონავირუსულ ინფექციას. ყველაზე მთავარი სამიზნე სხეულის ტემპერატურაა. თუ ის ნორმაზე მაღალია, სკოლის ადმინისტრაცია უკავშირდება მშობელს და მოსწავლე ავტომატურად ბრუნდება უკან, შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევის რეკომენდაციით.

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია სკოლის ექიმისა და შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ყველა მოსწავლის სამედიცინო მონაცემების ამომწურავი ცოდნა და ყურადღების გამახვილება იმ მოსწავლეებზე, რომელთაც რაიმე პარალელური დაავადება ან სუსტი იმუნიტეტი და ხშირი ჩივილები აქვთ. ეს კატეგორია, ყველა საერთაშორისო კვლევის მიხედვით, მაღალ რისკ ჯგუფს წარმოადგენს. ამიტომ, ერთი მხრივ, მათ მშობლებთან ინტენსიური კომუნიკაციაა საჭირო, მეორე მხრივ, მათთან შემხებლობაში მყოფი ყველა თანამშრომლის ინფორმირება მეტი მობილიზებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ და შემდგომში ჩამოთვლილი ყველა წესი და ნაბიჯი თანაბრად ეხება როგორც სკოლის მოსწავლეს, ისე მის ყველა თანამშრომელს.

საბაზისო პრევენციული ღონისძიებები – ჰიგიენა და დეზინფექცია

სკოლის ტერიტორიაზე შემსვლელი ყველა მოსწავლე და თანამშრომელი ატარებს ნიღაბს. ამ წესს არცერთ ქვეყანაში გამონაკლისი არ აქვს და სავარაუდოდ, დიდხანს არც ექნება.

საკლასო ოთახში შესვლამდე ბავშვები დეზინფექციის რამდენიმე საფეხურს გადიან, ფეხსაცმელებისა და ნივთების საგანგებო გაწმენდისა და ხელის დაბანის ჩათვლით. სკოლები ყველა სასკოლო სივრცის დეზინფექციას დღის განმავლობაში ორჯერ ახდენენ. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოსწავლეებს დამატებითი თბილი ტანსაცმლით უწევთ სკოლაში წასვლა, რადგან მათ სკოლებს საკლასო ოთახების უწყვეტი განიავება დაევალა.

ამ დროისათვის გახსნილ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დეზინფექციისა და სანიტარული ნორმების დაცვაზე განსაკუთრებული მონიტორინგია დაწესებული როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური უზრუნველყოფით. მაგალითისათვის, ჩინეთში მოსწავლეებსა და თანამშრომლებს მუდმივად ახსენებენ ხელის დაბანისა თუ სხვა წესების შესრულებას როგორც ვერბალურად, ისე საგანგებოდ შექმნილი მანიშნებლებით. პარალელურად, მკაცრია სანქციები დადგენილი წესების დაუცველობის შემთხვევაში.

სკოლის სამედიცინო პერსონალი და ტექნიკური მხარდაჭერა

ახალი კორონავირუსული ინფექციის გამო ქვეყნების უმრავლესობაში შემოღებულმა წესებმა სკოლებში ე.წ. ექიმის კაბინეტის მნიშვნელობა, საქმიანობის არეალი და საჭიროებები საგრძნობლად გაზარდა. ზემოთ დასახელებული საწყისი დიაგნოსტიკის, მონაცემების დამუშავებისა და მუდმივი განახლების გარდა, სასკოლო დღის განმავლობაში სკოლის ტერიტორიაზე დამატებითი სივრცე – ე.წ. იზოლაციის ოთახია შემოღებული, რომელიც კონკრეტულად კოვიდ-19-ის სიმპტომების მქონე პირები შედიან, იზოლირდებიან და სკოლის ტერიტორიის დატოვებამდე სხვაგან გადაადგილება ეზღუდებათ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა სხვა ტიპის



მიმართვით მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლები ტრადიციულ სამედიცინო კაბინეტს აკითხავენ. შესაბამისად, ეს კონკრეტული მოდელი როგორც დამატებით სივრცეს, ისე დამატებით ადამიანურ რესურსსაც ითვალისწინებს.

ფიზიკური დისტანცირება სკოლის სივრცეში

„ჩვენ ურბანულ ზონებში მაღალი სიმჭიდროვე გვაქვს. სოციალური დისტანცირების ამ ნორმების შესრულება წარმოუდგენელია“. შუალამიდან (რეგულაციის გამოქვეყნებისთანავე – ავტ.) ვფიქრობ, როგორ შეიძლება სკოლაში ე.წ. ცალმხრივი მოძრაობის სქემა შეიქმნას, ჩვენი კიბეები და დერეფნები ხომ ძალიან ვიწროა?!“ – ეს ციტატა ერთ-ერთი სკოლის დირექტორის ინტერვიუდანაა, რომელმაც სასწავლო პროცესი მაისის ბოლოს უნდა განაახლოს და, რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ეს სკოლა არა რომელიმე განვითარებად ქვეყანაში, არამედ დიდ ბრიტანეთშია, დასავლეთ სასექსის რეგიონში. ციტატის ავტორი მაიკლ ფერია და ის აქტიურად მუშაობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან იმაზე, რომ კოვიდ-19-თან დაკავშირებული ნორმები

მაქსიმალურად რეალისტური, დასაბუთებული და პრაქტიკაში შესრულებადი იყოს.

გახსნილი სკოლების მაგალითებიდან ფიზიკური დისტანცირების კონკრეტული ციფრებით რეგულირება ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე საკითხი ჩანს. ამჟამად ორი პრინციპია ყველაზე გავრცელებული, ზოგ შემთხვევაში მათი კომბინაციაც. პირველი ადგენს დასაშვებ მანძილებს და გამოყენებად სივრცეებს, ხოლო მეორე – ე.წ. „დამცავ კლასტერს“ (Protective Bubble) გულისხმობს, რომელიც, ვირუსის გავრცელების მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ბერკეტია ეპიდემიოლოგებისათვის.

ამ მიმართულებებით, ამჟამად გახსნილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შემდეგი ნორმები მოქმედებს:

- ყველა დასახელებული ქვეყნის შემთხვევაში, შეზღუდულია სკოლების ტერიტორიაზე ნებისმიერი გარეშე პირის დაშვების დაშვება უკიდურესი აუცილებლობის გარდა;
- სკოლის ტერიტორიასა და შენობაში შესვლა-გამოსვლის განრიგი გადანაწილებულია ისე, რომ თავიდან არიდებული იყოს რიგები;

- საკლასო მერხებს შორის დაშორება 0.92 მ-დან (ჩინეთი) 1.83 მ-მდე (ნორვეგია, დანია) მერყეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად არავითარი კავშირი მერხების დაშორებასა და გავრცელების რისკს შორის ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ბუნებრივია, ამავ ცვლადს უკავშირდება საკლასო ოთახში მოსწავლეთა დასაშვები რაოდენობაც;
- ერთი და იმავე მერხითა და სკამით ერთი და იგივე მოსწავლე ან მოსწავლეთა ჯგუფის სარგებლობს. კონკრეტულ კლასს, შეძლებისდაგვარად, შეზღუდული აქვს კონტაქტი სხვა ჯგუფებთან;
- უმცროსკლასელთა სათამაშო მოედნები და სპორტული დარბაზები ან დახურულია ან მათი გამოყენება ძალიან შეზღუდული. სპორტული ღონისძიებები იმ აქტივობებითაა დაშვებული, რომელიც ფიზიკურ კონტაქტს/სიახლოვეს ან საერთო ინვენტარის (მაგალითად, ბურთის) მოხმარებას არ გულისხმობს;
- წახალისებულია გაკვეთილების ხშირად ჩატარება გარე სივრცეში, სადაც ეს შესაძლებელია;
- კვებისა და ტრანსპორტირების შემთხვევაში, მკაცრად რეგულირებულია სახელობითი ან დანომრილი ადგილების მოხმარება. მოსწავლეები და თანამშრომლები მხოლოდ იმ ადგილით სარგებლობენ, რომელსაც მათ ადმინისტრაცია მიუჩენს. ამავ სიტუაციებში შენარჩუნებულია ზემოთ ხსენებული „დაცვითი კლასტერის“ პრინციპი, როცა სტაბილურად ერთი და იმავე ჯგუფებს/ჯგუფის წევრებს აქვთ კონტაქტი ერთმანეთთან;
- ბრიტანეთში, აშშ-ს ზოგიერთ სკოლაში, ასევე ისრაელსა და დანიაში, მოსწავლეებს ეკრძალებათ სასწავლო ნივთებისა და წიგნების შემოტანა სკოლის ტერიტორიაზე. ყველა გამოიყენებს მხოლოდ ინდივიდუალურ „ნაკრებს“ და მასთან შეხება მხოლოდ მის მფლობელს აქვს;

აკადემიური პროგრამის ადაპტირება

პანდემიისა და მის შემდგომ პირობებში გახსნილი სკოლებისთვის სასწავლო პროგრამის ადაპტირება ერთ-ერთ აუცილებელ ამოცანად იქცა. მიმდინარე საერთაშორისო პრაქტიკა აშკარად მიუთითებს სწავლების შერეული ფორმების (Blended Model) გამოყენების

მნიშვნელობაზე. მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობისათვის სკოლები კიდევ უფრო მრავალფეროვან ტექნოლოგიურ რესურსებს იყენებენ. გამოიკვეთა მეთოდოლოგიური პრიორიტეტებიც, განსაკუთრებული აქცენტით ორ მიმართულებაზე:

- ა. **თამაშზე დაფუძნებული მეტი საგანმანათლებლო აქტივობა**—მენტალური ჯანმრთელობის ექსპერტები და განათლების ფსიქოლოგები სკოლის დირექტორებს ურჩევენ სასწავლო პროცესი ისე დაიგეგმოს, რომ მოსწავლეების მიერ განვლილი სტრესული პერიოდი, შეძლებისდაგვარად, დაკომპენსირდეს თამაშების ხშირი ელემენტებით. ეს კოვიდ-19-ის გამოჩენამდეც მნიშვნელოვანი ელემენტი იყო თანამედროვე სწავლებაში, მაგრამ ამჯერად მან უფრო დიდი დატვირთვა შეიძინა;
- ბ. **ფიზიკური აქტივობის ხვედრითი წილის ზრდა** – დისტანციური სწავლების მოდელმა, ისედაც ციფრულ ტექნოლოგიებზე მიჯაჭვული თაობებისათვის, გამოიწვია ფიზიკური პასიურობა. შესაბამისად, ამჟამად გახსნილ სკოლებში – ისრაელში, დანიაში, ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებულად გაიზარდა საგაკვეთილო პროცესში ისეთი აქტივობების ინტეგრირება, რომელიც რაიმე სახის ფიზიკურ ვარჯიშს გულისხმობს.

სწავლა-სწავლების პროცესში პანდემიის მიერ შეტანილ ცვლილებებში აუცილებლად უნდა ვახსენოთ მოსწავლეთა შეფასების სქემები. ამ თვალსაზრისით, ყველა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც, განხორციელებული ცვლილებები შექმნილ სიტუაციაზე რეაგირების ხასიათს ატარებს. ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას, აუცილებელი იქნება სკოლებმა მაქსიმალურად მოქნილი სქემა დანერგონ, რომელიც სასწავლო წლის განრიგში ნებისმიერი ცვლილებისთვის უკვე მომზადებული იქნება.

მნიშვნელოვანი ორიენტირები სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისათვის

ჩვენთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი მოსწავლეთა დასწრება და მისი აღრიცხვაა. ქართულ სკოლებში

მოქმედი წესების თანახმად, მოსწავლეთა დასწრება მკაცრად აღრიცხვას ექვემდებარება, რომლის საფუძველზე შემოღებულია ექსტერნატის წესით შეფასებაც (საგნისთვის დათმობილი საათების 30%-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში). კოვიდ-19-თან თანაარსებობა აუცილებლად გულისხმობს შემდეგ პირობას: ნებისმიერი სიმპტომის ან ინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში, მოსწავლე დაუყოვნებლივ იგზავნება შესაბამის გამოკვლევაზე ან/და თვითიზოლაციაში. თუ ეს ჩვენი მოცემულობა იქნება, მაშინ აუცილებლად მოგვიწევს გაცდენებთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების გადახედვა, რადგან ამ პირობის შესრულება, გაზაფხულ-შემოდგომის ტრადიციულ სეზონურ გრიპებსა თუ სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, აუცილებლად გამოიწვევს მოსწავლეთა დასწრების მკვეთრ შემცირებას. განათლების იმ სისტემებში, რომლებიც მკაცრად აღრიცხვას მიჰყვებიან, უკვე ინიცირებულია ცვლილებები შესაბამისი ნორმების შემსუბუქებისათვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფიქრალი სკოლის თანამშრომელთა ასაკით ყველაზე უფროს ნაწილს უკავშირდება. სკოლის ადმინისტრატორებს მოუწევთ ნაწილზე ზევით დასაქმებული მასწავლებლებისათვის საქმიანობის განსაკუთრებით ფრთხილი მოდელის მოფიქრება. ქვეყანათა უმრავლესობა, რომელმაც სკოლები გახსნა, სკოლებში დასაქმებულ ადამიანთა ამ კატეგორიას შინიდან დისტანციურად მუშაობას ავალდებულებს.

პანდემიისგან პროვოცირებულმა დისტანციური სწავლების რეჟიმმა კიდევ უფრო გაზარდა ინდივიდუალური/დიფერენცირებული მიდგომების მნიშვნელობა. იუნესკოც და წარმატებული ინკლუზიური პროგრამების მქონე სკოლების დღევანდელი პრაქტიკაც მიგვიბრუნებს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები ყველაზე მოწყვლადი სეგმენტია მიმდინარე ფორსმაჟორულ ცვლილებებში. შესაბამისად, სკოლის ადმინისტრატორების ერთ-ერთი უმთავრესი მისიაა მოახდინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების სწრაფი განახლება, რათა ყველა მოსწავლეს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი სასწავლო პროცესზე.

ამასთან ერთად, სკოლის ადმინისტრატორებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალი დეტალურად გაწერილი კოვიდ-პროტოკოლი და მის საფუძველზე



თანამშრომელთა და მოსწავლეთა სისტემატური დატრენინგებაა. სასწავლო პროცესის განახლებამდე თუმის შემდეგ, სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება გასაგებად, მარტივად და დეტალურად შედგენილ წესებს, რომლის თითოეული ჩანაწერი და მისი მნიშვნელობა ესმის ყველა თანამშრომელს, მოსწავლეს და მშობელს. ამ პროცესის საუკეთესო ნიმუშებად ბოლო პერიოდში ტაივანი და კანადა მოგვევლინა, რომელთაც სკოლები, პრაქტიკულად არც დაუხურავთ. მეტიც, არ დახურულა ის სკოლებიც კი, რომელთა მოსწავლეებს ვირუსი დაუდასტურდათ. უბრალოდ, მყისიერად გაიწერა შესაბამისი პროტოკოლი ვინ რას აკეთებდა, რა შემთხვევასა და რა დროში.

დილემაები და ადგილობრივი კონტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი საერთაშორისო გამოცდილება ახლა ძალიან ღირებულია, გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებლად ადგილობრივი კონტექსტითა და შესაძლებლობებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ზემოთ ჩამოთვლილი ნორმების მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს რომელი მათგანია ქმედითი და განხორციელებადი. სკოლებში შეზღუდვების დაწესება იდეა-ფიქსად არ უნდა იქცეს. ქართულ სკოლებს 3 თვე წინ აქვთ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მთელ ამ სამზადისში მნიშვნელოვანია, რომ შემოღებული წესები არ სცდებოდეს ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საბაზისო ნორმებს, რადგან თითოეული აქ დასახელებული შეზღუდვა თავის წილ უარყოფით შედეგებს უქადის ჩვენს მოსწავლეებს და მათზე დაფიქრებაც არანაკლებ გვმართებს. აქვე გასათვალისწინებელია ქვეყნისა და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებიც. მეტი თვალსაჩინოებისათვის: სამხრეთ კორეაში, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 27000\$-მდეა (შედარებისთვის, საქართველოსი 4800\$-მდე), სკოლების გახსნის საწყის ეტაპზევე ალაპარაკდნენ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ახალ რეალობაში მეტი სამუშაო პერსონალი სჭირდება და შესაძლოა, ქვეყანა ფინანსურად არ იყოს მზად ამგვარი რეგულაციებისათვის.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი იაპონიაა, სადაც მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაბამისი სახელმწიფო

სტრუქტურები თითოეულ პროვინციასთან ცალ-ცალკე მუშაობენ ინდივიდუალური საჭიროებების დონეზე და სკოლებთან მაქსიმალურად დიფერენცირებულ მიდგომას იყენებენ, რათა შემოღებული ნორმები ყველასათვის გაზიარებული და განხორციელებადი იყოს.

რა თომ იქნება ყველაფერი კარგად?

ისლანდიაში, ნორვეგიაში, დანიაში, ესტონეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში ჩინეთში და კიდევ სხვა ქვეყნებში გახსნილი სკოლების შესახებ ინფორმაციას გამუდმებით ამუშავებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. საბედნიეროდ, ამ ეტაპისათვის უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, იუნესკოს, რომელიმე მთავრობას ან კვლევით დაწესებულებას, არავითარი კორელაცია სკოლების გახსნასა და რომელიმე ქვეყანაში ვირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდას შორის არ დაუდგენია. შესაბამისად, იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ეფექტური მართვისა და რეგულაციების დაცვის პირობებში სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა შესაძლებელი იქნება.

დღეს კი სკოლის დირექტორებს მნიშვნელოვანი საფიქრალი აქვთ. მათ ხომ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ სექტემბერში ფსიქო-სოციალური ყველა პარამეტრით ჯანსაღი გარემო არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის სხვა წევრებისთვისაც უზრუნველყონ?!

ავთანდილ აბდუელიშვილი

სკოლა „შავნაბადას“
დირექტორი



ონლაინსწავლების გამონვევები და შედეგები ქართულ სასკოლო გარემოში

სკოლის ხელმძღვანელთა ხედვა, გამოცდილება და გადამწყვეტილებები კრიზისის პერიოდში სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. რა პრობლემები დგას სასწავლო დაწესებულების ადმინისტრატორის წინაშე შექმნილ ვითარებაში და რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას მათ გადასაწყვეტად? სწორედ ამ თემას ეხება წერილის ავტორი.

დისტანციური სწავლება თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებული მოვლენაა. ონლაინსწავლების მეთოდს აქტიურად იყენებენ განვითარებული ქვეყნები შესაბამისი საჭიროებისას. დღემდე საქართველოში დისტანციური სწავლების გამოცდილება პრაქტიკულად არ არსებობდა; სწავლა-სწავლების პროცესი საკლასო მუშაობის მოდელს ეფუძნებოდა.

საგანმანათლებლო სისტემა გამოწვევის წინაშე მყისიერად დადგა – 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის პრევენციის ერთადერთი საშუალება, ე.წ. „სოციალური დისტანცირება“, თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ საკლასო აქტივობას. საქართველოში საგანმანათლებლო არდადეგები გაურკვეველი ვადით გახანგრძლივდა.

როგორი იყო სასკოლო საზოგადოების პასუხი მოულოდნელ კრიზისზე? შეიძლება ითქვას, რომ – არაერთგვაროვანი.

საგანმანათლებლო სისტემის კერძო და საჯარო სექტორები განსხვავებულად შეხვდნენ გამოწვევას.

განათლების პროცესის მართვა კრიზისულ პერიოდში

ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინება, ბუნებრივია, უფრო მეტად საჯარო სექტორს მოუხდა. საყოველთაოდ ხელმისაწვდომი განათლების პრინციპმა ონლაინსწავლების ალტერნატივად ტელესწავლება შესთავაზა მოსწავლეებს. შედეგად კი, პროექტ „ტელესკოლაზე“ დაყრდნობით, განათლების სამინისტრომ მიმდინარე სემესტრი აკადემიურად არ გამოაცხადა.

კერძო სკოლის შემთხვევაში, მის უპირატესობად იქცა საჯარო სექტორისგან განსხვავებული მომხმარებელი – სეგმენტი, რომელიც საყოველთაო სოციალური ფონისგან ასე თუ ისე განსხვავებულია (აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლის მომხმარებელი ძირითადად დედაქალაქის მკვიდრი მოსწავლეა; ონლაინსწავლების ერთ-ერთ

მთავარ სირთულედ კი კომპიუტერთან და ინტერნეტთან წვდომა სახელდება რეგიონებში მცხოვრები საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის).

ზოგმა კერძო სკოლამ მალევე აულო ალლო შექმნილ სიტუაციას და მარტშივე გადავიდა ახალ რეჟიმზე, ზოგ კერძო სკოლაში კი ეს პროცესი შედარებით დაგვიანდა. თუმცა აპრილის დასაწყისში უკვე ყველა სკოლა ონლაინ-სწავლებაში იყო ჩართული.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა მყისიერი იყო, რაც თავისთავად გამოიწვია მასწავლებლების გადამზადებას. პედაგოგებისთვის პირველი გამოწვევა ელექტრონული პლატფორმების ათვისება აღმოჩნდა. Zoom, Teams, Google meet, Schoolbook ის ძირითადი



პლატფორმებია, რომლითაც ამ დრომდე მიმდინარეობს სწავლება. ტექნიკური პრობლემები მცირე დროში მოგვარდა და სწავლება დირექციის მიერ დაწესებულ ვადებში დაიწყო.

სკოლის ადმინისტრატორების დამატებით ამოცანად იქცა სკოლის იმ თანამშრომელთა სამუშაოს ადაპტირება ონლაინრეჟიმში, რომლებიც საგაკვეთილო პროცესში პირდაპირ არ არიან ჩართულნი. სკოლის საქმეთა მმართველის, ბუღალტრის, ხარისხის მენეჯერების სამუშაოს ფორმატი შეიცვალა და მთლიანად ონლაინგარემოს მოერგო.

ადმინისტრატორების ყოველდღიურ ამოცანად იქცა თანამშრომლების მოტივირება კრიზისულ ვითარებაში

– საწყის ეტაპზე ყველასთვის ძალიან რთული გასააზრებელი აღმოჩნდა ვირტუალურ გარემოში მუშაობის პერსპექტივა. ამ სიტუაციაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მენეჯერების მხარდაჭერამ.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, თავდაპირველად განხილვის საგანს წარმოადგენდა გაკვეთილების ხანგრძლივობა და რაოდენობა. ეს პრობლემა ფსიქოლოგების რეკომენდაციის საფუძველზე გადაიჭრა. ეკრანთან გასატარებელი დროის გათვალისწინებით, შემცირდა გაკვეთილების ხანგრძლივობა და ზოგ შემთხვევაში – რაოდენობაც.

დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო საკლასო მუშაობისგან განსხვავებული მიდგომების გამოყენება, კლასის მართვის ახალი წესების შემუშავება. დისტანციურმა მუშაობამ სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდების გადახედვა მოითხოვა. მოსწავლეთა ჩართულობის შენარჩუნება და მცირე დროის ეფექტიანი გამოყენება მხოლოდ შესაბამისად დაგეგმილ ონლაინგაკვეთილებზე მოხერხდა. გადაიხედა დავალებების შინაარსი და რაოდენობა, უფრო მეტი ყურადღება გამახვილდა კომპლექსურ დავალებებზე.

თუმანამდე მხოლოდ ვსაუბრობდით განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და შინაგანი მოტივაციის აუცილებლობაზე, ონლაინსწავლებამ პირდაპირ ამ რეალობის წინაშე დაგვაცენა. განმსაზღვრელი შეფასება გამოირიცხა და მოსწავლეთა მობილიზების შესანარჩუნებლად მასწავლებლებს სხვა გზების ძიება მოუხდათ. ვფიქრობ, ამან დადებითად იმოქმედა სწავლა-სწავლების შინაარსზე და ეს გამოცდილება საკლასო სწავლების მოდელზეც სასიკეთოდ აისახება.

დისტანციური სწავლების დროს განსაკუთრებული სირთულე შეიქმნა ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რადგან მოიშალა ინკლუზიური განათლების არსებითი მახასიათებელი – კლასში შექმნილი სოციალური გარემო. სპეცპედაგოგები ონლაინრეჟიმში ინდივიდუალურად მუშაობენ შესაბამისი სტატუსის მქონე ბავშვებთან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა გადაჭრილია.

დისტანციური სწავლებისას მშობელთა ჩართულობა გარდაუვალია. მშობლები საგაკვეთილო პროცესის უშუალო თვითმხილველები გახდნენ, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა ორგანიზებას, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე.



განათლების პროცესის მართვა კრიზისულ პერიოდში

თუმცა მშობლების და, ხშირ შემთხვევაში, მთელი ოჯახის ჩართულობამ და დაკვირვებამ გაზარდა წნეხი მასწავლებლებზე. პედაგოგის უშუალო მსმენელად იქცა მშობელი, რომელიც ხშირად მისი ყველაზე დიდი კრიტიკოსია, განსაკუთრებით კერძო სკოლაში.

მასწავლებლების სტრესი უფრო მეტად გაიზარდა, რადგან ეკრანთან მუშაობა არ სრულდება მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით, არანაკლები დრო სჭირდება გაკვეთილების მომზადებას, რაც ასევე კომპიუტერთან მუშაობას უკავშირდება. ამავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მოსწავლეს – შემცირებული საგაკვეთილო დროის მიუხედავად, მას მინც საკმაოდ დიდ ხანს უწევს ეკრანთან ყოფნა დავალებების შესასრულებლად.

გარდა ამისა, გაიზარდა კიბერბულინგის საფრთხეც. მასწავლებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა უმეტესობა უარს ამბობს კამერის გამოყენებაზე. ამის მიზეზი კი გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი განცდებია.

სწავლის პროცესის შეწყვეტა მტკივნეული აღმოჩნდა მეთორმეტეკლასელებისთვის. სააბიტურიენტო საათებმაც ონლაინსივრცეში გადაინაცვლა. სწავლა-სწავლების შინაარსის მოდიფიცირება ვერ მოხერხდა, რადგან, განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორ-

მაციის თანახმად, არ იგეგმება ეროვნული გამოცდების ფორმატის შეცვლა და არც გადავადების საკითხი განიხილება. გარდა ამისა, გაუქმდა ბოლო ბარის ტრადიციული ღონისძიებები.

დისტანციური სწავლების შედეგებს მოგვიანებით, ალბათ, უკეთ დავინახავთ და შევაფასებთ, თუმცა უკვე აშკარაა ერთი რამ: კრიზისმა ბევრი სიახლე წარმოშვა და საკუთარი თავი სხვა კუთხით დაგვანახა. საგანმანათლებლო სისტემა გადაეწყო ონლაინსწავლების მოდელებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ვებინარები საგნობრივი საჭიროებების მიხედვით; პოპულარულ ინტერნეტგაზეთში „მასწავლებელი.ჯი“ იმატა ისეთი სტატიების რაოდენობამ, რომელიც ონლაინსწავლების მეთოდოლოგას ეხება; სამოქალაქო სოლიდარობის და განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, შეიქმნა პროექტი „მოხალისე მასწავლებელი“.

ფაქტია რომ, როდესაც ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებით, საგანმანათლებლო სისტემაში ჩართულ ყველარგოლს ახალი გამოცდილება გვექნება და დისტანციური სწავლების უნარებს სასიკეთოდ გამოვიყენებთ.



მიხეილ იაშვილი

ბაქსვუდის საერთაშორისო
სკოლის ტუტორი,
სკოლა ლაბის
სტიპენდიანტი



ონლაინსწავლება – ახალი რეალობა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

სტატიაში აღწერილი და გააზრებულია საქართველოში სწავლების სრულად ონლაინფორმატში გადასვლის პოზიტიური მხარეები და ის მიმართულებები, რომელიც ამ ორი თვის განმავლობაში გამოიკვეთა. პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით წარმოჩენილია თუ რა მიმართულებით შეიძლება ონლაინსწავლების გამოყენება პანდემიის შემდგომ პერიოდში ეფექტურად.

საქართველოში კორონავირუსის გავრცელებიდან მალევე, 4 მარტს დაიხურა სკოლები და უნივერსიტეტები, სასწავლო პროცესმა კი დისტანციური ფორმა მიიღო: დისტანციურ დავალებებთან ერთად, 15 მარტიდან გაკვეთილებმა ონლაინსივრცეში, Zoom-სა და Teams-ში გადაინაცვლა.

პანდემიის გამოჩენამდე საქართველოს არ ჰქონია სრულად ონლაინსწავლების გამოცდილება და, ცხადია, სწავლების ფორმის ასეთმა სპონტანურმა და რადიკალურმა ცვლილებამ ბევრი ტექნიკური პრობლემა გააჩინა, მაგრამ ამ გამოწვევებთან ერთად, გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო მიმართულება, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ონლაინსწავლების დადებითი მხარე და რომელზეც ამ სტატიის ფარგლებში ვისაუბრებ.

პირველი, რაც ონლაინსწავლებამ დაგვანახა, არის ის თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება. აღმოჩნდა, რომ სკოლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად

განათლების პროცესის მართვა კრიზისულ პერიოდში

ორგანიზება და გადაწყვეტილებების მიღება. არადა, ონლაინსწავლების დანერგვა მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული – მარტო ტექნიკური მზაობისა და მასწავლებლების ციფრული კომპეტენციის ხსენება რად ღირს. ამ სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, სკოლებმა მოახერხეს ორგანიზებულად და სწრაფად

გარდაამისა, როგორც აღვნიშნე, კორონავირუსის შემოსვლამდე საქართველოს სკოლების უმრავლესობას არ ჰქონია ონლაინსწავლების გამოცდილება. შესაბამისად, არ არსებობდა თეორიული დამეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც და რომელზე დაყრდნობითაც განხორციელდებოდა დისტანციური სასწავლო პროცე-




სწავლების დისტანციურ ფორმაზე ადაპტირება ყოველგვარი წინასწარი მზაობისა და ტრენინგის გარეშე, რაც მომავალში სისტემის დეცენტრალიზაციისთვის, შესაძლოა, კარგი არგუმენტი იყოს.

სი. 2 თვის შემდეგ კი აშკარაა, რომ ამ მიმართულებით მასწავლებლებმა, დირექტორებმა და განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებმა დააგროვეს გამოცდილება და პრაქტიკა, რამაც მომავალში შესაძლოა ბიძგი მისცეს

ახალი სასწავლო მეთოდოლოგიების შემუშავებას, რაც ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის გათვალისწინებით, უდავოდ პოზიტიური ამბავი იქნება. შესაძლოა, შემუშავდეს ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები შეძლებენ ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას, დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიის

ციფრული წიგნიერება, რომლის განვითარებაც, სხვათაშორის, ეროვნულ სასწავლო გეგმაშია გაწერილი, არის თანამედროვეობაში მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო უნარი და განსაკუთრებით სასარგებლო და ეფექტური სასწავლო-სწავლების პროცესში. სამწუხაროდ, მასწავლებლების საკმაოდ დიდი ნაწილის ციფრული



ათვისებას, დირექტორებისთვის კი გაჩნდეს კურსები სკოლის მართვის დისტანციური ფორმების შესახებ.

ცალკე აღსანიშნია ციფრული კომპეტენციების ამაღლება როგორც მასწავლებლებში, ისე მოსწავლეებში.

უნარები ძალიან დაბალ დონეზე იყო განვითარებული; შესაბამისად, ისინი ვერ იყენებდნენ ციფრულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში და შედეგად მათი სწავლების მეთოდები იყო ნაკლებ მრავალფეროვანი, ზოგ შემთხ-


ვევაში მოძველებული და მოსწავლეებისთვის უინტერესო კი. ონლაინსწავლებაზე გადასვლამ ეს პრობლემა მკაფიოდ გამოაჩინა, მაგრამ მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ორთვიანი პროცესის შემდეგ მნიშვნელოვნად ამაღლდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ციფრული უნარები, რაც მომავალში უნდა აისახოს სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებასა და ციფრული ტექნოლოგიების მეტად ინტეგრირებაზე სასწავლო პროცესში.

კიდევ ერთი სარგებელი, რომელიც სწავლების დისტანციურ ფორმაზე გადასვლამ მოგვითანა, არის განათლების სამინისტროს, ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების ძალისხმევის შედეგად ამ პერიოდში შექმნილი უამრავი და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. მაგალითად, ტელესკოლა - პროექტი, რომლის მეშვეობით საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის გაკვეთილები ყველა საგნის მიმართულებით, მათ

შორის არის აბიტურიენტის საათი. გაკვეთილებს ატარებენ სფეროს გამორჩეული მასწავლებლები და მასზე „დასწრება“ შეუძლია ყველას, ვისაც აქვს ტელევიზორი და შესაბამისი სურვილი.

ასევე, აღსანიშნავია კიდევ ერთი პროექტი – iსკოლა, რომლის ფარგლებშიც ყველა კლასის მოსწავლეებისთვის შეიქმნა საშინაო დავალებების კრებულები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით. მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოტვირთონ დავალებები და დამოუკიდებლად შეასრულონ, ასევე, გაეცნონ საჭირო მასალებს. გარდა ზემოჩამოთვლილისა, სკოლებისა თუ მასწავლებლების ძალისხმევის შედეგად შეიქმნა კიდევ მრავალი სხვა საინტერესო რესურსი, რომლის გამოყენება მომავალში მნიშვნელოვნად გაამდიდრებს სასწავლო პროცესს.

უშუალოდ სწავლების პროცესსაც რომ შევხებით, ონლაინსწავლებამ კიდევ ერთხელ და უფრო ნათლად



დაგვანახა, რომ უმნიშვნელოვანესია, წინასწარ მოვამზადოთ და კარგად დავგეგმოთ გაკვეთილი. თუკი ნამდვილ საკლასო ოთახში ბოგვერ დროის გაყვანას სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციით ვახერხებდით, ახლა ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაკვეთილისთვის კარგად მომზადება მასწავლებლის მხრიდანაც. გარდა ამისა, გამოჩნდა, რომ გაკვეთილის ასახსნელად სულაც არაა საჭირო 40-45 წუთი, ამისთვის 15-20 წუთიც აბსოლუტურად საკმარისია (ეს აჩვენა ტელესკოლის გამოცდილებამაც). ეს ფაქტი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მომავალში საკლასო ოთახში ჩასატარებელი გაკვეთილის ოპტიმალურად დასაგეგმად. დამატებით ამოჩნდა, რომ სწავლების პროცესში მშობლის ჩართულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა და ეფექტი აქვს და ამ მიმართულებითაც მეტი დაფიქრება გვმართებს.

არ აღმინიშნავს ონლაინსწავლების სხვა სიკეთეებს: დროისა და ხარჯების დაზოგვა და, შესაბამისი ეკონომიკური მხარდაჭერისა და ტექნიკური უზრუნველყოფის შემთხვევაში, უთანასწორობის შემცირება სწავლების ხელმისაწვდომობის კუთხით, თანაც მინიმალური ხარჯებისა და ნაკლები ძალისხმევით ჩადებით. ამის შესახებ ერთი პატარა ამბავი მინდა მოგიხსნათ:

დათა პირიქითა ხევსურეთში, სოფელ არდოტში ცხოვრობს. არდოტში სკოლა არ არის, ამიტომაც ის შატილის სკოლაში დადიოდა. 10 კმ-ის გავლა ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ მას კარგად ესმოდა განათლების მიღების მნიშვნელობა და ყოველ სისხამ დილით შემართებით მიუყვებოდა ნაცნობ გრძელ გზას. განსაკუთრებით მათემატიკა მოსწონდა, მაგრამ სხვა საგნებსაც მონდომებით სწავლობდა. დათა მოუთმენლად ელოდა მე-7 კლასში გადასვლას, როცა ფიზიკაც დაემატებოდა საგნებს. ამბობდა, რომ სოფლის საქმეებში ფიზიკის ცოდნა მეტად დაეხმარებოდა, მაგრამ მე-7 კლასში გადასულმა, აღმოაჩინა, რომ ხევსურეთში ფიზიკის მასწავლებელი ვერ მოიძებნა; ამიტომ, დათა ფიზიკას ვერ სწავლობდა. მართალია, კომპიუტერით მაინც ახერხებდა მისთვის საინტერესო თემატიკაზე ინფორმაციის მოძიებას, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი; მას სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც სწავლების სწორ მიმართულებას მისცემდა.

სწავლა ფიზიკის გარეშე მისთვის დიდი იმედგაცრუება იყო. ამას ისიც დაემატა, რომ ასაკის მატებასთან ერთად,

მას სულ უფრო და უფრო უმძაფრდებოდა სოციალიზაციის მოთხოვნილება. არადა, შატილის სკოლაში სულ მ მოსწავლე სწავლობდა და აქედან დათას ასაკის არცერთი არ იყო. შედეგად, მე-7 კლასიდან დათას სასწავლო შემართებამ იკლო, არდოტი-შატილის ნაცნობი გზა კი სულ უფრო გრძელი გამოჩნდა.

მაგრამ ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა. ვირუსის გავრცელების გამო, მთავრობის ბრძანებით მთელ საქართველოში სკოლები დაიხურა, მარტის ბოლოდან კი ონლაინსწავლება დაიწყო. დათასთვის ეს გაცილებით კომფორტული აღმოჩნდა, რადგანაც თანატოლები ისედაც არ ყავდა სკოლაში, ონლაინსწავლა კი მისთვის მოსახერხებელი იყო— ცოდნასაც იღებდა და ენერჯისა და დროსაც ზოგავდა. თანაც, რაც მთავარია — ფიზიკის გაკვეთილი დაემატა მის ონლაინცხრილს. მართალია, ხევსურეთში ფიზიკის მასწავლებელი არ იყო, მაგრამ საქართველოში მრავლად აღმოჩნდნენ ენთუზიასტები, ვინც დათას ფიზიკას დისტანციურად ასწავლიდა. შეიქმნა ახალი ონლაინკლასი ფიზიკაში ისეთი მოსწავლეებისთვის, რომელთაც სკოლაშიც ფიზიკის მასწავლებელი არ იყო. ზოგი რაჭაში ცხოვრობდა, ზოგი სვანეთში, ზოგიც სამცხე-ჯავახეთში. ფიზიკის დისტანციურად სწავლება ვირუსის პანდემიის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა. ახალ ხალხთან ურთიერთობის შესაძლებლობამ და საყვარელი საგნის სწავლამ დათას დაუბრუნა ის შემართება და მოტივაცია, რომლითაც თავის დროზე პირველ ნაბიჯებს დგამდა არდოტი-შატილის გრძელ გზაზე.

საბოლოოდ, დათამ წარმატებით დაამთავრა სკოლა.

დღეს ის არდოტში ცხოვრობს და შატილის სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად მუშაობს; ზაფხულობით კი ხან სტუმრობს, ხანაც მასპინძლობს საკუთარ კლასელებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.



ეს ამბავი გამოგონილი ისტორიაა, რომელიც შეიძლება რეალური აღმოჩნდეს რამდენიმე წლის შემდეგ, თუკი ონლაინ სწავლების სიკეთეებს დავინახავთ და მის გამოყენებაზე უარს არ ვიტყვით პანდემიის დასრულების შემდეგ.



ნიკოლოზ სილაგაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი

პანდემია და განათლების რეფორმა

ძველი პრობლემები ახალ ვითარებაში

სტატიაში განალიზებულია განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში, პანდემიის პირობებში. ნარმოდგენილი სადისკუსიო საკითხები უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პრობლემებს მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლისა და მთლიანად განათლების სისტემის დონეზე.

2020 წლის 2 მარტს, პანდემიის საფრთხის გამო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით სკოლებში არდადეგები გამოცხადდა. ძალიან მალე გაირკვა ისიც, რომ 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სასკოლო ცხოვრება ძველებურ რეჟიმში ვეღარ დაბრუნდებოდა და სწავლა-სწავლება დისტანციურ ფორმატში უნდა წარმართულიყო. ფაქტი გახდა, რომ განათლების სისტემა მძიმე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.

დაისვა შეკითხვები, რომელიც ერთნაირად აწუხებდა მშობლებს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას და განათლების სისტემაში ჩართულ ყველა ადამიანს:

- როგორ უნდა მოხდეს კომუნიკაცია მოსწავლეებთან დისტანციურ რეჟიმში?
- რა მეთოდოლოგიური ორიენტირებს უნდა დაეფუძნოს სწავლა-სწავლება ვითარებაში, როცა საკლასო ოთახში გაკვეთილები ვეღარ ტარდება?

- როგორ უნდა განვსაზღვროთ სასწავლო პროგრამა ვითარებაში, როცა სწავლა-სწავლებისთვის ჩვეულებრივზე ბევრად ნაკლები დრო გვაქვს?
- როგორ შევაფასოთ მოსწავლეთა მიღწევები და სხვა.

წინამდებარე სტატია მიზნად არ ისახავს იმის წარმოჩენას თუ რაოდენ დიდი გამოწვევა იყო და არის პანდემია განათლების სისტემისთვის. მისი ფუნქცია არც განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებული იმ ინტერვენციების დეტალური აღწერაა, რომლის წყალობითაც 2020 წელი აკადემიურ წლად არ გამოცხადდა. აქ განხილულია ფუნდამენტური ძვრები, რომელიც პანდემიის პირობებში შეუმჩნეველად მოხდა განათლების სისტემაში და რომელმაც უდავოდ შეუწყო ხელი განათლების რეფორმას/ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას/პროექტს „ახალი სკოლის მოდელი“.

განათლების რეფორმა მრავალწახნაგოვანი პროცესია. მასში მოსწავლეების, მათი მშობლებისა და მასწავლებლების სახით ძალიან ფართო საზოგადოებაა ჩართული. გამომდინარე აქედან, არ არის გასაკვირი, რომ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ხშირად ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა და არასწორი წარმოდგენები. ამგვარი წარმოდგენების სიმრავლე, ერთი მხრივ, მისასალმებელია (*ვინაიდან ეს განათლების საკითხებით ფართო საზოგადოების დაინტერესებაზე მეტყველებს*), მეორე მხრივ კი, აღსანიშნავია, რომ რეფორმასთან დაკავშირებული „მითების“ სიმრავლე მისი წარუმატებელი მსვლელობის ინდიკატორიცაა. ამგვარი „მითები“ ადასტურებს, რომ საზოგადოებამდე სწორად ვერ მიდის საჭირო ინფორმაცია. ეს კი მძიმე ხარვეზია პროცესისთვის (ანუ განათლების რეფორმისთვის), რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს წარმატებული თუკი ეროვნული თანხმობის შედეგი იქნება.

კოვიდ 19-ით გამოწვეულ ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეიქმნა ვითარება, რომელმაც განათლების რეფორმასთან დაკავშირებული ბევრი მცდარი მოსაზრების გადასინჯვა გამოიწვია. სტატიაში 7 ასეთი დებულებაა განხილული. მათი განხილვის ფონზე კი გაანალიზებულია 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები.

სტატიაში გაშუქებული სადისკუსიო საკითხები უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პრობლემებს მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის და მთლიანად განათლების სისტემის დონეზე:

1. **მოსწავლის დონე** – გადატვირთული პროგრამები;
2. **მასწავლებლისა და სკოლის დონე** – შემოქმედებითი თავისუფლების დეფიციტი სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში; სასწავლო პროცესის დაგეგმვის დაკავშირება მხოლოდ ბიუროკრატიულ საჭიროებებთან ასოცირებულ დოკუმენტთან.
3. **სისტემური დონე** – ინოვაციებით არაადეკვატური აღტაცება; რეფორმის არარეალისტურობა; რეფორმის დაგეგმვისას ფართო საზოგადოების აზრის ნაკლებად გათვალისწინება; რეფორმის არათანმიმდევრული ხასიათი; შინაარსობრივზე უწინ ფინანსურ-ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების აუცილებლობა.

შესავალი

განათლების რეფორმა ერთიანი და უწყვეტი პროცესია, თუმცა, მისი ყველა ეტაპის ერთნაირად შეფასება ხშირად შეცდომებისკენ გვიბიძგებს. საქართველოში რეფორმა 20 წელიწადზე მეტი ხანია მიმდინარეობს. მის ისტორიაში სულ ცოტა სამი მკვეთრი ეტაპი შეიძლება გამოიყოს (თუკი კლასიფიკაციის ერთეულად სხვადასხვა პერიოდში მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმებს ავიღებთ):

1. პირველი ეტაპი შეიძლება დავუკავშიროთ **პირველი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას**, რომელიც 2005-2011 წლებში მოქმედებდა (ცალკე ეტაპად შეიძლება გამოიყოს, ასევე, პერიოდი, რომელიც წინ უსწრებდა პირველი ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცებას);
2. მეორე ეტაპი – **მეორე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას**, რომლის მოქმედების ვადაც 2011-2016 წლებით განისაზღვრა (საშუალო საფეხურზე დღესაც მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მოქმედებს);
3. მესამე ეტაპი კი დაკავშირებულია **მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან**, რომელიც 2018 წელს დამტკიცდა.

თითოეულ მათგანს ჰქონდა საკუთარი დანერგვის პოლიტიკა და პრინციპები (პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პოლიტიკას განასახიერებს). შესაბამისად, განსხვავებული იყო ზემოქანის მართვითი პრობლემური საკითხებისადმი მათი მიმართებაც.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საზოგადოებრივი აზრისა და წინა პერიოდში დამკვიდრებული შეცდომების ანალიზს. ამის შედეგია ის, რომ ახალ 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩადებულია მნიშვნელოვანი ელემენტები/ბერკეტები, რომელსაც შეუძლია სტატიაში განსახილველად გამოტანილი შვიდივე პრობლემის გადაჭრას შეუწყოს ხელი. სწორედ ამ შესაძლებლობების პრაქტიკაში რეალიზებას ცდილობს პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“. სამწუხაროდ, განათლების საკითხებზე მსჯელობისას, ხშირ შემთხვევაში, ხდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის იგნორირება; შესაბამისად, გრძელდება განათლების რეფორმის კრიტიკა ისეთ პრობლემებზე აპელირებით, რომლის გათვალისწინებაც, მიმდინარე ეტაპზე, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

სტატიაში თითოეული სადისკუსიო საკითხი შემდეგი სტრუქტურითაა განხილული: აღწერილია განათლების რეფორმის შესახებ არსებული კრიტიკული მოსაზრებები; ახსნილია მათი წარმოშობის მიზეზები; შემდეგ კი გაანალიზებულია, თუ როგორ შეუწყოს ხელი პანდემიის პირობებში ზოგადი საუბრებიდან ქმედებაზე გადასვლამ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას და რეფორმასთან დაკავშირებული „მითების“ გაქარვებას.

1) მოსწავლის დონე

(გადატვირთული სასწავლო პროგრამები)

პრესასა და სოციალურ მედიაში ექსპერტების მხრიდან ხშირად გამოითქმის უკმაყოფილება სასწავლო პროგრამების გადატვირთულობასთან დაკავშირებით. აღინიშნება, რომ სასწავლო საკითხების სიმრავლე მოსწავლეს თავისუფალ დროს არ უტოვებს, რაც ნეგატიურად აისახება მის პიროვნულ განვითარებაზე.

ეს პრეტენზიები უმიზეზოდ არ წარმოქმნილა. საქართველოში, დიდი ხნის განმავლობაში (ჯერ კიდევ

საბჭოთა პერიოდიდან), სასწავლო პროგრამა გაიგივებული იყო სახელმძღვანელოს სარჩევთან, რომელიც არცთუ მცირე მოცულობის ინფორმაციას შეიცავდა. განათლების რეფორმის პირველ ეტაპზე გაჩნდა რიტორიკა, რომ სახელმძღვანელო ერთ-ერთი და არა ერთადერთი რესურსია და მისი სრულად დაფარვა არ არის აუცილებელი, თუმცა სისტემაში გამოიკვეთა ახალი ელემენტი ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **პირველი თაობის (2005-2011 წლები)** ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასეთი მიზნობრივი ორიენტირები დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი. ყოველ წელიწადს მასწავლებელს, საშუალოდ, 7-8 შედეგზე და მასთან დაკავშირებულ 5-7 ინდიკატორზე უწევდა მუშაობა (ჯამურად, წელიწადში პედაგოგს 50-მდე მიზნობრივ ორიენტორთან ჰქონდა შეხება), რაც უდავოდ აჩენდა საგნობრივი პროგრამების სასწავლო ამოცანებით გადატვირთულობის განცდას. **მეორე თაობის (2011-2016 წლები)** ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საზოგადოების მხრიდან წამოსული მოთხოვნის გამო (საზოგადოებისთვის ძნელად აღქმადი იყო მოკლევადიანი შედეგებისა და ინდიკატორების საშუალებით ჩამოყალიბებული მოთხოვნები), სასწავლო გეგმას საკმაოდ ვრცელი ბირთვი-პროგრამები მიემატა, რამაც სასწავლო ამოცანების რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა.

2018 წლიდან საქართველოს განათლების სისტემაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მოქმედებს, რომელიც მიზნობრივი და შინაარსობრივი ორიენტორებით აღარ არის გადატვირთული:

- ა.** განსხვავებით პირველი და მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისგან, აქ მიზნობრივი ორიენტორები ჩამოყალიბებულია **საფეხურის და არა წლიური შედეგების სახით**; ანუ, თითოეულ საგანში განსაზღვრულია მოთხოვნები, რომელიც არ იცვლება კლასებისა (მაგალითად, მე-7 კლასიდან მე-9 კლასამდე) და სასწავლო თემების მიხედვით. შედეგების რაოდენობა სხვადასხვა საგანში 5-დან 15-მდე მერყეობს;
- ბ.** გარდა ამისა, **საკითხების ჩამონათვალი შეიცვალა სავალდებულო თემებით**. ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღარ ვხვდებით ე.წ. „ბირთვ პროგრამა-

მებს“. აქ უბრალოდ განსაზღვრულია სავალდებულო თემები (ზოგიერთ საგანში – თემატური ბლოკები, ზოგიერთში კი მხოლოდ ისაა სავალდებულო, რომ სწავლა-სწავლების პროცესი თემების საშუალებით დაიგეგმოს). მაშასადამე, მასწავლებელი მისდევს სავალდებულო თემებს. თემების შიგნით კი თავად ირჩევს საკითხებს, ერთი მხრივ, გრძელვადიანი მიზნების, მეორე მხრივ კი, საკუთარი მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

შეიძლება ითქვას, რომ განათლების რეფორმისთვის სამი უმთავრესი შეკითხვიდან – **რას ვასწავლი? რა მიზნით ვასწავლი? როგორ ვასწავლი?** სამინისტრომ აქცენტი მეორე და მესამე შეკითხვაზე გადაიტანა, პირველის განსაზღვრა კი მასწავლებლებსა და სკოლებს მიანდო².

მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივ საკითხებთან დაკავშირებით ზემოაღწერილი ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2018 წლიდან შევიდა, რეალურ პრაქტიკაში უმთავრესად მაინც დაგეგმვის ძველი მეთოდები მოქმედებდა. გამომდინარე აქედან, არც პროგრამების გადატვირთულობის შესახებ დისკუსია კარგავდა აქტუალობას (რა მნიშვნელობა აქვს, რა წერია სასწავლო გეგმაში, მთავარია – რა ხდება რეალურ პრაქტიკაში – სოციალურ მედიაში შევხვდებით ასეთ მოსაზრებასაც). თუმცა პანდემიამ პედაგოგები მძიმე ამოცანის წინაშე დააყენა. ფაქტი გახდა, რომ სახელმძღვანელოს სრულად დაფარვა დისტანციურ რეჟიმში ნაკლებად იყო შესაძლებელი. ამიტომ, ბუნებრივია, გაჩნდა შემდეგი ტიპის შეკითხვები:

- რის საფუძველზე ვასწავლო ერთი საკითხი და გამოვტოვო მეორე?
- ხომ არ იქნება საკითხების შერჩევით სწავლება სამინისტროს (ეროვნული სასწავლო გეგმის) მოთხოვნების დარღვევა?

ამ შეკითხვის დღის წესრიგში შემოტანამ „ახალი ტიპის“ პრაქტიკას დაუდო სათავე. მივიღეთ ვითარება, როცა სემესტრის განმავლობაში ყველა მასწავლებელმა „შეკვცა“ პროგრამები და საკუთარი ლო-

გიკით დაიწყო საკითხების სელექციის პრინციპების დასაბუთება (მასთან ერთად კი, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების რაობის გაანალიზება). მასწავლებლებს ამ პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სამინისტროს ორი ინტერვენცია:

- ა. ტელესკოლა**, სადაც კლასების მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესისთვის შედარებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია წინ წამოიწეული;
- ბ. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევები**, სადაც მკაფიოდ ჩანს თუ რომელი საგნობრივი საკითხი რა მიზნით შეიძლება იქნას გამოყენებული³.

სისტემაში, სასწავლო პროგრამული საკითხების სელექციის მექანიზმებზე ყურადღების გამახვილების გამო, ცხადია, დღის წესრიგიდან მოიხსნა გადატვირთული პროგრამების „პრობლემა“ (პროგრამები რომ მართლაც გადატვირთული ყოფილიყო, ვერაფრით აცვდებოდათ 2020 წლის მეორე სემესტრის აკადემიურ წლად გამოცხადებას).

2. მასწავლებლისა და სკოლის დონე (შემოქმედებითი თავისუფლების დეფიციტი სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში; სასწავლო პროცესის დაგეგმვის დაკავშირება მხოლოდ ბიუროკრატიულ საჭიროებათა ასოცირებულ დოკუმენტთან)

განათლების ექსპერტები ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები ძნელად აღსაქმელი ფორმითაა ჩამოყალიბებული; აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს მოთხოვნები მასწავლებლებს შემოქმედებით თავისუფლებას უზღუდავს. ამ ტიპის საკითხებზე დისკუსიას, როგორც წესი, უკავშირებენ სკოლების ავტონომიურობის პრობლემასაც⁴.

ეს პრეტენზიები უმიზეზოდ არ წარმოქმნილა. რეფორმის პირველ ეტაპზე, პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებული იყო მოკლევადიანი შედეგების ინდიკატორების საშუალებით მოსწავლის მოსალოდნელი ქცევების აღწერაზე, რაც ძნელად გასაგებს ხდოდა რეალურ პრაქტიკაში რა უნდა გაეკეთებინა მასწავლებელს ამ მოთხოვნების დასაკმაყოფი-

ლებლად. ბუნდოვანი იყო ისიც, თუ სად მთავრდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სად იწყებოდა პედაგოგის შემოქმედებითი თავისუფლება. ამ მხრივ, მდგომარეობას უფრო მკაფიოს ვერც დანერგვის ინსტრუმენტები ხდოდა, რომელიც ისევ და ისევ მასწავლებლების ყურადღებას დანაწევრებული და მოკლევადიანი მიზნობრივი ორიენტირებისკენ (გაკვეთილის გეგმები, გაკვეთილის ფაზები და სხვა) მიმართავდა. ასეთ წვრილმანებზე მუშაობის პირობებში კი მასწავლებელი ვეღარ ხედავდა სრულ სურათს და, შესაბამისად, მისთვის ბუნდოვანი ხდებოდა თუ რა და რატომ იგეგმებოდა სასწავლო პროცესში.

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ბევრი რამ გაკეთდა იმისთვის, რათა სტანდარტის მოთხოვნები – ერთი მხრივ „მსუბუქი“, მეორე მხრივ კი, ყველასთვის იოლად გასაგები გამხდარიყო. ამის მიხედვით, სკოლებსა და მასწავლებლებს სამინისტროსგან მხოლოდ ორი შინაარსობრივი ხასიათის მოთხოვნა აქვთ:

- ა. სწავლა-სწავლება წარმართონ გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებით⁵;
- ბ. სწავლა-სწავლება წარმართონ კონსტრუქტივისტულ მეთოდოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით⁶;

ამ ტიპის მოთხოვნების კიდევ უფრო გამოკვეთისა და დაკონკრეტების მიზნით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროექტში „ახალი სკოლის მოდელი“, თითოეული სამიზნე ცნებისთვის განისაზღვრა **მკვიდრი წარმოდგენები**. მკვიდრი წარმოდგენები არის განზოგადება, რომელამდეც მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში კონკრეტული საკითხების შესწავლის გზით უნდა მივიდეს.

ასეთ სტილში ფორმულირებული მიზნები, რამდენიმე მიზეზის გამო, ფრიად კომფორტულია სასკოლო საზოგადოებისთვის:

- მიზანი განსაზღვრულია **ცოდნის და არა ქცევის ენაზე** (გაკვეთილებზე, როგორც წესი, ყველა მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ბრუნავს თუ რა უნდა გააგებინოს საკუთარ მოსწავლეს. პედაგოგი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაფიქრდეს თუ რა

ქცევით შეიძლება გამოხატოს მისმა მოსწავლემ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება);

- მიზნები განსაზღვრულია **ფორმალური სახით** საფეხურის დონეზე (შესაბამისად, მასწავლებელს აღარ უწევს ყველა აქტივობასთან, გაკვეთილთან, თემასთან და წლიურ გეგმასთან მიმართებით მიზნების ინდივიდუალურად განსაზღვრა).

- ბ. მეორე ტიპის მოთხოვნის, ანუ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების გასაზრებლად, პროექტით „ახალი სკოლის მოდელი“ შემოტანილ იქნა სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად და მოსწავლეთა შესაფასებლად **კომპლექსური დავალების** გამოყენების პრაქტიკა, რომელზე ორიენტირება უდრის კიდევ კონსტრუქტივისტული პრინციპების პრაქტიკაში განხორციელებას⁷.

მაშასადამე გამოდის, რომ პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მთელი დისკურსი დაყვანილია ორ შეკითხვამდე:

- არის თუ არა დავალება კომპლექსური?
- ორიენტირებულია თუ არა კომპლექსური დავალება სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე?

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ბევრი რამ გაკეთდა საიმისოდ, რომ შინაარსობრივ საკითხებთან მიმართებით, სკოლებს რეალური ავტონომია ჰქონოდათ. წლიური შედეგების სისტემიდან საფეხურის შედეგებზე გადასვლამ დღის წესრიგში ახლებურად დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან **სასკოლო კურიკულუმის** შექმნისა და განვითარების აუცილებლობა.

სასკოლო კურიკულუმი არის ორიგინალური დოკუმენტი, რომელსაც ინდივიდუალურად ქმნის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და რომლის საშუალებითაც განსაზღვრავს, თუ რა საკითხების, კომპლექსური დავალებების, რესურსებისა და აქტივობების ხარჯზე ახერხებენ სკოლის მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მიღწევას⁸.

დანერგვის პროცესში სასკოლო კურიკულუმების მნიშვნელობის წინ წამოწევა სკოლებსა და პედაგოგებს უდიდეს შემოქმედებით თავისუფლებას ანიჭებს. პრაქტიკულად, ისე გამოდის, რომ ყველა სკოლა დამოუკიდებლად ქმნის ორიგინალურ სასწავლო შინაარსსა და საგანმანათლებლო სერვისს, რაშიც მათ პრაქტიკულად არაფრით ზღუდავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ზემოხსენებული ორი ვალდებულება (*კერძოდ ის, რომ სასწავლო პროცესი დაიგეგმოს და წარმართოს სამიზნე ცნებებზე (როგორც გრძელვადიან მიზნებზე) და კომპლექსურ დავალებებზე (როგორც შუალედურ მიზნებზე) ორიენტრებით*), ამ ეტაპზე, შეზღუდვებზე მეტად სკოლების დახმარებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ვინაიდან ეს სტრუქტურული ერთეულები (*სამიზნე ცნება, კომპლექსური დავალება*) აიოლებენ სასკოლო კურიკულუმის აგების პროცესს ისე, რომ არაფრით ზღუდავენ პედაგოგების შემოქმედებით თავისუფლებას.



მიუხედავად იმისა, რომ პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ უკვე თითქმის ორი წელია მიმდინარეობს, დღეისთვის მისი მასშტაბები საკმაოდ მოკრძალებულია (*ამ ეტაპზე, პროექტი მხოლოდ 165 სკოლაში ხორციელდება. ფართო მასშტაბებზე მისი გავრცელება მხოლოდ 2020 წლის სექტემბრიდან იგეგმება*). მიუხედავად იმისა, რომ პროექტს ფართო რეზონანსი ჰქონდა, სისტემაში არ იყო დიდი იმ პედაგოგების რაოდენობა, რომელსაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები პრაქტიკაში ჰქონდა გამოყენებული. გამომდინარე აქედან, საზოგადოების მხრიდან ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართ ზემოაღწერილი პრეტენზიებიც (*სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვასთან და საჩვენებელი დოკუმენტების წარმოებასთან დაკავშირებით*) არ კარგავდა აქტუალობას.

პანდემიის გამოისობით შექმნილ ვითარებაში, პედაგოგები, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. მათთვის მკაფიო არ იყო, თუ როგორი ფორმით უნდა წარმართულიყო ტრადიციული გაკვეთილებისგან განსხვავებული სასწავლო პროცესი. ამის გამო ყურადღება გაიზარდა პროექტში

„ახალი სკოლის მოდელი“ აპრობირებულ კომპლექსურ დავალებებსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტრებული პედაგოგიკური პრაქტიკის მიმართ.

ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ორი ნაბიჯი გადადგა:

- ა. სკოლებში გაავრცელა გზამკვლევები, რომელშიც მოცემულია მკაფიო ინსტრუქციები იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა შეიქმნას კომპლექსური დავალებები სხვადასხვა საგანში. აქვე წარმოდგენილია ინსტრუქციები დისტანციურ რეჟიმში მოსწავლის მიღწევების განმსაზღვრელ და განმავითარებელ ფორმატში შეფასებასთან დაკავშირებით;
- ბ. საქართველოს ყველა რეგიონში, ადგილობრივ რესურსცენტრებთან აქტიური თანამშრომლობით, პროექტში „ახალი სკოლის მოდელი“ ჩართული სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბდა საკონსულტაციო სივრცეები, სადაც პროექტში ჩართული ქოუჩები, ქოუჩის ასისტენტები და პედაგოგები რეგიონის სხვა სკოლის წარმომადგენლებისთვის მართავენ ონლაინ სემინარებს. კონსულტაციები, რომელში ჩართვის შესაძლებლობაც საქართველოს ყველა სკოლას აქვს, ძირითადად ორ საკითხზეა კონცენტრირებული:
 - როგორ გამოვიყენოთ კომპლექსური დავალებები დისტანციურ რეჟიმში სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად;
 - როგორ გამოვიყენოთ კომპლექსური დავალებები მოსწავლეების მიღწევების შესაფასებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაციებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მასში ჩართულობა კრედიტულებთან ან რაიმე სხვა ტიპის წახალისებასთან არ არის დაკავშირებული, ძალიან შთამბეჭდავია ონლაინ შეხვედრებში ჩართულ პედაგოგთა საერთო რაოდენობა.

ფაქტია, რომ სკოლებში გაგზავნილი გზამკვლევებისა და ონლაინ შეხვედრების წყალობით, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტებს ფართო საზოგადოება გაეცნო. გამომდინარე აქედან, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის

დაგეგმვა არ არის მექანიკური და მხოლოდ ბიუროკრატიულ საჭიროებებთან ასოცირებული პროცესი. სამინისტროს პოლიტიკა კი დახმარება-მხარდაჭერაზე (და არა დასჯა-წახალისებაზე) ორიენტირებული. შესაბამისად, ცხადია, აქტუალობა დაკარგა განათლების რეფორმის მიმართ ზემოთ განხილულმა პრეტენზიებმა და წინა პლანზე წმინდად პედაგოგიკურმა საკითხებმა წამოიწია.

ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი 2020 წლის სექტემბრიდან კიდევ უფრო გაღრმავდება, როდესაც კოვიდ-19-ის საფრთხის გათვალისწინებით, 2020-2021 წლების სასწავლო პროცესის დაგეგმვა დაიწყება; რეგიონებში კი იარსებებენ პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებიც საქართველოს ყველა რაიონში გაუწევენ მასწავლებლებსა და სკოლებს კვალიფიციურ დახმარებას სწავლა-სწავლების შემოქმედებითად და მოსწავლეებისთვის საინტერესოდ წარმართვასთან დაკავშირებით⁹.

3) სისტემური დონე

(ინოვაციებით არაადეკვატური აღტაცება; რეფორმის არარეალისტურობა; რეფორმის დაგეგმვისას ფართო საზოგადოების აზრის ნაკლებად გათვალისწინება; რეფორმის არათანმიმდევრული ხასიათი; შინაარსობრივზე უნინ ფინანსურ-ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების აუცილებლობა)

ფართო საზოგადოების მხრიდან ხშირად დაისმის კითხვები იმასთან დაკავშირებით თუ რომელი ქვეყნის „მოდელის“ გათვალისწინებით ხდება განათლების რეფორმირება. ასეთ შეკითხვებს, როგორც წესი, ქვეტექსტად უდევს შიში რეფორმის არარეალისტურობის, ინოვაციებით ექვეპერტების არაადეკვატური აღტაცების, ადგილობრივი კონტექსტის გაუთვალისწინებლობის შესახებ.

მსგავსი ტიპის ბრალდებები განათლების სფეროს სპეციალისტების წრეებიდანაც ისმის, თუმცა, ამ შემთხვევაში, აქცენტი კეთდება არა „საზღვარგარეთული მოდელების“ საეჭვობაზე, არამედ იმ გარემოებაზე, რომ განათლების რეფორმა „სამინისტროს კედლებში“ იგეგმება და მისი კონცეფციის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას არ იღებენ დარგის აღიარებული სპეციალისტები. ხშირად აღნიშნავენ იმასაც, რომ სამინისტ-

როს არ აქვს „ცვლილებების თეორია“ და მოქმედების გრძელვადიანი სტრატეგია, რის გამოც რეფორმებს არათანმიმდევრული ხასიათი აქვს.

ეს პრეტენზიები უმიზეზოდ არ წარმოქმნილა. საქმე ისაა, რომ რეფორმის პირველ ეტაპზე განათლების რეფორმის „სავიზიტო ბარათს“ რიტორიკულ სტილში დაანონსებული მეთოდოლოგიური ნოვაციები წარმოადგენდა. არ ხდებოდა ადგილობრივი საჭიროებების შესწავლა და მის საფუძველზე სახელმწიფო დოკუმენტების განვითარება. ადგილობრივი მომხმარებლის ინტერესები დანერგვის ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის დიზაინის შერჩევის პროცესშიც კი ნაკლებად იყო გათვალისწინებული. ტრენინგებიც, როგორც წესი, მასწავლებლის პრაქტიკულ საჭიროებებზე მეტად ზოგადმეთოდოლოგიურ საკითხებს შეეხებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა მჭიდროდ იყო ასოცირებული პოლიტიკურ პროცესებთან. საზოგადოებას რეფორმა მიეწოდებოდა, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მიღწევა, რასაც საზოგადოების კონსერვატორულად განწყობილი წრეების (მათ შორის პედაგოგთა კორპუსის დიდი ნაწილის) უკმაყოფილება მოსდევდა. ამის შედეგი იყო ის, რომ წინ წამოიწია არაადეკვატურმა სადისკუსიო საკითხებმა (მაგალითად, სწავლა-სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნაზე თუ უნარებზე და სხვა), რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი სიახლეებისადმი საზოგადოების ნდობის გაჩენას.

რეფორმის პირველ და მეორე ეტაპზე თავი იჩინა სისტემურმა პრობლემებმაც. სამინისტროში განვითარდნენ სსიპ-ები, რომლებმაც სხვადასხვა ეტაპზე დამოუკიდებლად დაგეგმეს ფართომასშტაბიანი ინტერვენციები, რომელიც არ შეესაბამებოდა (რიგ შემთხვევებში კი ეწინააღმდეგებოდა კიდევ) ეროვნული სასწავლო გეგმის ფილოსოფიას. ამგვარი ქმედებები, ცხადია, აბნევდა საზოგადოებას და ხელს უშლიდა განათლების რეფორმის მწყობრი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პოლიტიკა თვისებრივად განსხვავებულია. „ახალი სკოლის მოდელი“ არის საკლასო ოთახიდან დაწყებული პროექტი. მისი მთავარი ამოცანაა, შექმნას

და განავითაროს საქართველოს სკოლების მასწავლებლების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი დანერგვის ინსტრუმენტები. ეს ინსტრუმენტები საჭიროა იმისთვის, რომ თითოეულმა სკოლამ, საკუთარი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, თავად იპოვოს ორიგინალური გზა/ხერხები (შეიშავოს „ორიგინალური მოდელი“) საკუთარ კედლებში განათლების რეფორმის ლოკალურად განსახორციელებლად/ანუ ეროვნული სასწავლო გეგმის დასანერგად. პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ ამაში მათ იმით ეხმარება, რომ პედაგოგებს, ჩარჩო დოკუმენტებზე (სავნობრივი გზამკვლევი, თემატური მატრიცები და სხვა) დაყრდნობით, რეალურ პედაგოგიკურ პრაქტიკასთან მიმართებით უხსნის თუ რას ნიშნავს განათლების რეფორმა/ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საკლასო ოთახის (და არა ზოგადი რიტორიკის) დონეზე. პედაგოგები იღებენ ჩარჩო დოკუმენტებს და მათ საფუძველზე თავად იწყებენ ორიგინალური სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე მუშაობას (სხვაგვარად რომ ვთქვათ, იწყებენ პასუხის ძიებას შეკითხვაზე – რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, როგორც სკოლამ, ჩვენი მოსწავლეების მკვიდრი წარმოდგენების სახით ჩამოყალიბებულ განზოგადებამდე მისაყვანად?). ძიების ამ პროცესს თან სდევს კომპლექსური დავალებების პირობის შემუშავება, მათი პრაქტიკაში გამოყენება და ამ პრაქტიკის თემატური მატრიცების საშუალებით აღწერა, მოსწავლეების ზოგადი დატვირთვის გათვალისწინებით, სასკოლო კურიკულუმის მოდიფიცირება და სხვა ქმედებები, რომელიც სკოლას ერთიან გუნდად აყალიბებს და უბიძგებს იკვლიოს საკუთარი საჭიროებები უპირველეს ყოვლისა მოსწავლეთა პიროვნული აღზრდისა და სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით მუშაობის პროცესში სკოლები ქმნიან საკუთარ „მოდელს“, რომელიც წარმოაჩენს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულების უნიკალურ პრაქტიკას იმ კონკრეტული სკოლისთვის.

სიტყვათშეხამებაში „ახალი სკოლის მოდელი“ სიტყვები „ახალი“ და „მოდელი“ მიემართება თითოეულ სკოლას და არა სამინისტროს ინტერვენციას (რომელიც მოკრძალებულ ამოცანას, სკოლებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის მოთხოვნებისა და

საჭიროებების ჩვენებას, ისახავს მიზნად). მაშასადამე, „ახალი სკოლის მოდელის“ მთელი ხიბლი არის ის, რომ აქ (რეფორმის წინა ტალღებისგან განსხვავებით) არავინ საუბრობს „ტრადიციულისა“ და „პროგრესულის“ შეპირისპირებაზე. პირიქით, აპელირება ხდება შემდეგ იდეაზე – მსჯელობა იმ ცვლილებების აუცილებლობის შესახებ, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ისახავს მიზნად, ისეთივე ძველია, როგორც თავად განათლების სისტემა (ამ ტიპის ცვლილებების საჭიროებაზე ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი უზნაძე საუბრობდნენ). „ახალი სკოლის მოდელი“ კი ყველა სკოლას აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ძალებით იპოვონ ამ ცვლილებების განხორციელების საშუალება; ეს, ცხადია, გულისხმობს არა „ტრადიციულის“ გვერდზე გაწევას და „ახლის“ დამკვიდრებას, არამედ – „ტრადიციულზე“ დაყრდნობით, განათლების სისტემისთვის ასევე ტრადიციული დილემების გადაჭრას და, ამის ხარჯზე, ახალი, საკუთარი სკოლისთვის ორიგინალური მოდელის/გზის შექმნას, რომლის საშუალებითაც იგივე სკოლის მოსწავლეები მიიღებენ უფრო ხარისხიან განათლებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულია როგორც სასკოლო საზოგადოება, ისე სამინისტროდან წარგზავნილი სპეციალისტები, რომლებიც ინტენსიურ კავშირს ინარჩუნებენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტთან. ამ კავშირის წყალობით დანერგვის ინსტრუმენტები ყოველდღიურად ვითარდება. შედარებისთვის შეგვიძლია ვიხილოთ როგორი იყო ეს ინსტრუმენტები 2018 წელს, როდესაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა დამტკიცდა (იხ. საიტი ncp.ge) და როგორია დღეს (იხ. დოკუმენტები, რომელიც მცირეოდენი ხნის წინ გაიგზავნა სკოლებში). ამ დოკუმენტების შუალედური ვერსიებიც ყოველთვის ადვილად იყო ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. გამომდინარე აქედან, ოდნავ გაუგებარია რას გულისხმობენ კრიტიკოსები, როცა აღნიშნავენ, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ შესახებ მასალები ხელმისაწვდომი არ არის.

ზემოაღწერილი ინსტრუმენტების განვითარება მასწავლებლებთან, მშობლებთან, დირექტორებთან, საგ-

ნობრივ სპეციალისტებთან, განათლების სპეციალისტებთან თანამშრომლობით ხდება. რეალურად, „ახალი სკოლი მოდელი“ არის პლატფორმა, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს განათლების რეფორმაში რეალური (და არა ფსევდო) მონაწილეობის შესაძლებლობას.

ფაქტია, რომ განათლების სისტემა თანდათანობით გადადის ახალ მიდგომებზე. როგორ უნდა მოხდეს ეს ტრანზიციის? სწორედ ამის განსახილველად არის საჭირო **სტრატეგია, პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა (შესაბამისი ფინანსური აღრიცხვები)**, ანუ იმ ტიპის დოკუმენტები, რომლის არქონასაც (თუ არ გამოქვეყნებასაც) პროექტს „ახალი სკოლის მოდელი“ უსამართლოდ საყვედურობენ. ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტი, ცხადია, „ახალი სკოლის მოდელის“ გამოცდილებასა და „ცვლილებების თეორიას“ (ცხრილი 1) უნდა ითვალისწინებდეს, თუმცა, მათი შექმნა უშუალოდ პროექტის ამოცანა არ არის. პროექტის მიზანია, მოამზადოს ნიადაგი, რომელიც გემოსხენებულ დოკუმენტებს მდგრადობის რეალურ საფუძველს შეუქმნის, რათა მათი წინამორბედი და დღეს უკვე მივიწყებული სტრატეგიებისა და პოლიტიკის დოკუმენტების ხვედრი არ გაიზიარონ.

დასასრულ, სტატიის დასკვნით ნაწილში უნდა ითქვას კიდევ ერთი არასწორი შეხედულების შესახებ, რომელიც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არსებობს. ვგულისხმობთ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ განათლების რეფორმის რეალურად დაწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჯობს, თუკი მოგვარებული იქნება ინფრასტრუქტურული, ფინანსური და საორგანიზაციო პრობლემები, რაც მასწავლებლებს შეუქმნიდა პირობებს, რომ თავად აელოთ ხელში ინიციატივა საგანმანათლებლო რეფორმის საკითხებთან მიმართებაში. ამგვარ შეხედულებებს, რა თქმა უნდა, ძალიან გულუბრყვილო „ცვლილებების თეორია“ უდევს საფუძვლად. კერძოდ, აქ იკითხება რწმენა იმისა, რომ გარეგანი ფაქტორების მოწესრიგება არის ადამიანისთვის შინაგანი მოტივაციის გაღვივების შესაძლებლობა. რეალურად კი ადამიანის მოტივაციას ორი ფაქტორი ქმნის:

- ა. რასაც ვაკეთებ, გამომდის;
- ბ. რასაც ვაკეთებ, ღირებულია;

სწორედ იმიტომ იხარჯება „ახალი სკოლის მოდელში“ დიდი დრო და ენერჯია, რომ კომპლექსური

დავალებების, თემატური მატრიცებისა და სასკოლო კურიკულუმების შექმნისთვის საჭირო ინსტრუმენტები იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ მათი დანიშნულებაცა და შექმნა-გამოყენების ინსტრუქციებიც ყველასათვის მკაფიო იყოს. რეალურად, „ახალი სკოლის მოდელი“ არის პასუხი შეკითხვაზე **„როგორ“** (და არა შეკითხვაზე **„რა“**). ის საშუალებებს ეძებს, რათა შექმნას „ბუნებრივი კატალიზატორები“ და ამით დაეხმაროს განათლების რეფორმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისთვის მთავარი შეკითხვაა – **როგორ გავუღვივოთ მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოებას შინაგანი მოტივაცია განათლების რეფორმის განსახორციელებლად?**

ამ საკითხთან მიმართებით, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლის **სახით ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებას**, რომელიც პასუხისმგებელია სასკოლო კურიკულუმის (და მასთან ერთად სკოლის) განვითარებაზე. სწორედ ამიტომ სამინისტრო სკოლას ელაპარაკება როგორც ერთიან გუნდს; აქცენტს აკეთებს სასკოლო და არა ერთეული მასწავლებლების კურიკულუმზე; აძლევს დიდ თავისუფლებას შინაარსობრივი საკითხების განსაზღვრაში; ყოველწლიურად აფასებს მისი, როგორც ერთიანი გუნდის მიღწევებს (4,6,9 კლასების ბოლოს); ქმნის მხარდაჭერაზე ორიენტირებულ საკონსულტაციო სისტემას (23 რეგიონული ჯგუფის სახით).

სკოლის გუნდად ჩამოყალიბებისა და მისი სასკოლო კურიკულუმის იდეის გარშემო გაერთიანების საქმეში დიდი როლი ენიჭება **„ცვლილებების აგენტებად“** სახელდებულ ადამიანებს. ესენი არიან პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, რომლებიც „სიტუაციურ ლიდერებად“ იქცნენ ვითარებაში, რომლის ჩამოყალიბებაც „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციების გამოისობით მოხდა სკოლებში (იმის გამო, რომ მათ სხვაზე სწრაფად აუღეს ალღო სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს). „ცვლილებების აგენტების“ პოზიცია ოფიციალურად არ არის მარკირებული, თუმცა, რეალურად ისინი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სკოლას შორის „ხიდის“ როლს ასრულებენ. სწორედ მათი ინტენსიური მონაწილეობით უნდა მოხდეს სკოლებში სტრატეგიული ხედვების განვითარება, რაც სკოლას ძლიერ ავტონომიურ ერთეულად აქცევს, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს ლოკალურ დონეზე განათლების

რეფორმის განხორციელებას/ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ „ცვლილებების თეორიას“ ასახავს. აქ, გარდა ზემოჩამოთვლილი ნაბიჯებისა,

ცხრილი 1

ცვლილებების თეორია პროექტისთვის „ახალი სკოლის მოდელი“:

- ა) მისია – სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; სკოლების გადაქცევა სივრცედ, რომელიც კარგი პიროვნებისა და მოქალაქის აღზრდას შეუწყობს ხელს;
მიზანი: ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ყველა (მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის, ეროვნულ და საერთაშორისო) დონეზე.
- ბ) განათლების რეფორმისთვის ფუნდამენტური პრინციპები:
პრინციპი 1. აქცენტი დახმარებაზე და არა „დასჯა-წახალისებაზე“;
პრინციპი 2. აქცენტი სკოლის, როგორც ერთიანი გუნდის განვითარებაზე და არა კონკურენციასა და ერთეული მასწავლებლების გამორჩევაზე;
პრინციპი 3. ყურადღების გამახვილება პროცესებზე და არა მოკლევადიან შედეგებზე;
პრინციპი 4. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სისტემის ყველა რგოლისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა.

წარმოჩენილია პროექტის მიზნები და ფუნდამენტური პრინციპები, რომელთა დაცვაც, დასახული მიზნების მისაღწევად, სასიცოცხლოდ აუცილებელია. აქვე ჩამოთვლილია მექანიზმები, რომლის ხარჯზეც ახალი სკოლის მოდელი დასახულ მიზნებზე მუშაობს.

- გ) მექანიზმები, რომელზე დარდნობითაც განათლების სამინისტრო ცვლილებების განხორციელებას გეგმავს:
მექანიზმი 1. კომუნიკაცია სკოლებთან სასკოლო კულტურისა და სასკოლო კურიკულუმების განვითარების პროცესებთან დაკავშირებით – რესურს-ცენტრებისა და რეგიონის დონეზე ექსპერტთა გუნდების საშუალებით (Microsoft 365 – ის პროგრამებზე დაყრდნობით);
მექანიზმი 2. სკოლაში სასკოლო კულტურის განვითარებისა და ყოველი საფეხურის ბოლოს მოსწავლეების მიღწევების რეგულარული კვლევა;
მექანიზმი 3. თანამშრომლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კომპლექსური დავალებების ბანკისა და დამატებითი რესურსების შექმნასთან დაკავშირებით;
მექანიზმი 4. რესურსცენტრებთან თანამშრომლობით რეგიონული ქსელების შექმნა.

დ) ეტაპები სასურველი ცვლილებების თანდათან განსახორციელებლად:

ნაბიჯი 1.

სკოლებისა და პედაგოგებისთვის საკლასო ოთახის (და არა ზოგადი რიტორიკის) დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების ახსნა. საქართველოს მასწავლებლებისთვის გასაგები და გამოყენებადი დანერგვის ინსტრუმენტების შექმნა.

ნაბიჯი 2.

სკოლაში „ცვლილებების აგენტების“ სახით ახალი სიტუაციური ლიდერების გამოკვეთა. სკოლის გარდაქმნა ერთიან გუნდად.

ნაბიჯი 3.

პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, განათლების სისტემის განვითარების საჭირო სტრატეგიული გეგმისა და პოლიტიკის შემუშავება (სისტემის მართვის „ახალი სკოლის მოდელის“ პრინციპების შესაბამისი ბერკეტების შემუშავება).

ნაბიჯი 4.

ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დამოუკიდებლად შეიმუშავებენ საკუთარი სკოლის მასშტაბით განათლების რეფორმის განხორციელების/ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის სტრატეგიას.

განათლების რეფორმა არის ერთგვარი „კონტრაქტი“, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებს, პოლიტიკოსებსა და განათლების სპეციალისტებს შორის თანხმდება. მისი წარმატება და მდგრადობა, რეალურად, სწორედ ამ შეთანხმების სიძლიერეზეა დამოკიდებული. ამ შეთანხმების მიღწევის თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს განათლების სისტემაში პანდემიის ვითარებაში მიმ-

დინარე პროცესებს, რომლის წყალობითაც შეიცვალა სადისკუსიო თემების დღის წესრიგი და კონცენტრირება მოხდა არსებით საკითხებზე, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კუთხით. ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს კარგ საფუძველს ქმნის განათლების რეფორმის შემდგომი ეტაპების წარმატებით განსახორციელებლად.

შენიშვნები:

- 1 სტატიაში ტერმინები: განათლების რეფორმა, ეროვნული სასწავლო გეგმა და პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“, პრაქტიკულად, სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება. ეროვნული სასწავლო გეგმა არის განათლების რეფორმისთვის მთავარი დოკუმენტი, ახალი სკოლის მოდელი კი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროექტი.
- 2 ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ცხადია, განსაზღვრულია პრიორიტეტები, რომელიც მასწავლებლებმა საგნობრივ საკითხთა შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ (მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ევალებათ, მოსწავლეებს აუცილებლად ასწავლონ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები, ისტორიის მასწავლებლებმა კი – საკითხების შერჩევისას აქცენტი გააკეთონ საქართველოს ისტორიის საკანძო საკითხებზე და ისტორიული ეპოქების არსობრივი მახასიათებლების გამოკვეთაზე). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები მართო არ არიან მიტოვებული საკუთარი სასწავლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში. სამინისტრო მათ მიეღო რიგ გზამკვლევებსა და მეთოდოლოგიურ რესურსებს სთავაზობს, რაც მათ საკუთარი კურიკულუმის შექმნაში ეხმარება.
- 3 გზამკვლევები დამუშავებულია სამსვეტიან დიზაინში, სადაც პირველი სვეტი გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, მეორე სვეტში კი განსაზღვრულია თუ რა საშუალებებით, რა საკითხებით შეიძლება ამ მიზნებზე მუშაობა https://emis188my.sharepoint.com/:f/g/personal/mchikobava_mes_gov_ge/Eo24blZyvmTnNa4TOAuMWwQBrjIXHg9R59USn2QiPztlmg?e=5My4Lo
- 4 ავტონომიის პრობლემა გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესაძლებლობას, საკუთარი სასკოლო მხარდაჭერის საჭიროებისამებრ წარმართოს საგანმანათლებლო პროცესები/განახორციელოს განათლების რეფორმა. სკოლის ავტონომიაზე საუბრისას, როგორც წესი, ორი ასპექტი იკვეთება – შინაარსობრივი და ადმინისტრაციული. პირველი მათგანი სტატიის მეორე ნაწილში (მასწავლებლის შემოქმედებით თავისუფლებაზე საუბრისას) განიხილება, მეორეზე კი ყურადღება მესამე ნაწილში (სისტემის დონეზე საუბრისას) მახვილდება.
- 5 გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირები ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ჩამოყალიბებული. თითოეულ საგანში განსაზღვრულია მცირე რაოდენობით (4-დან 10-მდე) სამიზნე ცნება, რომელზე ორიენტირებითაც იგეგმება თითოეული სასწავლო თემა საფეხურის ფარგლებში.
- 6 ეროვნულ სასწავლო გეგმაში კონსტრუქტივისტული მიდგომები აღიწერება 5 საგანმანათლებლო პრინციპის სახით. სკოლა და მასწავლებლები ვალდებული არიან სწავლა-სწავლება და შეფასება მათზე დაფუძნებით წარმართონ.

- ა) მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება: აქტიური სწავლა – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით საქმიანობას (კვლევა, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა და ა.შ.) და არა მის პასიური მსმენლის მდგომარეობაში ყოფნას;
- ბ) ახალი ცოდნის კონსტრუქცია წინარე ცოდნაზე დაყრდნობით – სწავლა-სწავლების პროცესში თანდათანობით უნდა ხდებოდეს მოსწავლის მიყვანა ახალ ცოდნამდე (და არა ახალი მასალის ერთბაშად და მოუზმადებლად მიცემა);
- გ) ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება – სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს სამიზნე ცნების გარშემო ურთიერთდაკავშირებულ ცოდნათა აგებას (და არა გაფანტულ-დანაწევრებული ინფორმაციის მიწოდებას);
- დ) სწავლის სწავლა – სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი უნდა კეთდებოდეს არა მხოლოდ რას სწავლობს მოსწავლე, არამედ – როგორ სწავლობს;
- ე) ცოდნის სამი კატეგორია (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) – სწავლა-სწავლების პროცესში მხოლოდ თეორიული მასალის დამახსოვრებაზე კი არ უნდა კეთდებოდეს აქცენტი, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს პროცედურებსაც და თეორიული მასალის ცხოვრებაში პრაქტიკულ გამოყენებასაც.
- 7 კომპლექსური დავალება არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე და რომლის საშუალებითაც საკუთარ ცოდნას ადასტურებს შესასწავლ საგნობრივ საკითხთან მიმართებით. სწავლა-სწავლების პროცესი იგეგმება კომპლექსური დავალებების საშუალებით. სასკოლო კურიკულუმში კომპლექსური დავალება შუალედური მიზნის როლს ასრულებს.
- 8 პროექტში „ახალი სკოლის მოდელი“ სასკოლო კურიკულუმების განვითარებაში სკოლების დახმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები სასკოლო კურიკულუმის ნაწილს წარმოადგენს). რეალურად, სამინისტროს მიერ სკოლებში გაგზავნილი გუნდი მხოლოდ და მხოლოდ ამ დოკუმენტის შექმნასა და განვითარებაზე კონცენტრირდება.
- 9 ამ ეტაპზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მიმდინარეობს შესარჩევი კონკურსი ყველა სავალდებულო საგანში ექსპერტების შესარჩევად. კონკურსის შედეგად, საქართველოს ყველა რეგიონისთვის შეიქმნება საგნობრივ ექსპერტთა კვალიფიციური ჯგუფები, რომლებიც, ადგილობრივ რესურსცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობით, იმუშავებენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ ჯგუფების წევრები იქნებიან, ასევე, ინკლუზიური განათლების, ლიდერობის სპეციალისტები. კონკურსის შედეგად დაკომპლექტებული ჯგუფები 2020 წლის სექტემბრიდან შეუდგებიან აქტიურ მუშაობას.


**ივარი
ბასილაძე**

აკაკი წერეთლის
ქუთაისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
პროფესორი



**ეთერ
ღვინერია**

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
პროფესორი



პარადიგმის ცვლილება – სწავლების პარადიგმიდან სწავლის პარადიგმამდე

დიდაქტიკიდან – მათეტიკამდე

XXI საუკუნის განათლების ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ახლებური გააზრება, რომელიც ე.წ. „სწავლების მოდელიდან“ „სწავლის მოდელზე“ გადანაცვლებაში (აქცენტის გადატანაში) ჰპოვებს ასახვას.

სწავლების მოდელი მასწავლებელზე/ავტორიტეტზეა ორიენტირებული, ძირითადად ინფორმაციის/ცოდნის გადაცემას ეფუძნება და, ამავდროულად, ზღუდავს ინტერაქციის შესაძლებლობას.

სწავლის მოდელის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის დამოუკიდებლად შექმნას, სასწავლო აღმოჩენებს, მსჯელობას, პრობლემების გადაწყვეტას, შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

ზოგადად, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა/სწავლებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პლატონი თავისი დიალოგებით, ხოლო სოკრატე კითხვების საშუალებით ცდილობდნენ მოსწავლისათვის სწავლის პროცესი გაეადვილებინათ და საინტერესო გაეხადათ, პირად გამოცდილებასა და აღმოჩენებზე დაფუძნებული ცოდ-

რა განსხვავებაა დიდაქტიკასა და მათეტიკას შორის? რა ცვლილებებს ითხოვს თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა და რა საფუძვლებზე დაყრდნობით? სტატიის ავტორები ჟურნალის მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნიან ამ საკითხზე.


ნა გადაეცათ. მაგრამ სწავლის პროცესის მეცნიერული ინტერპრეტაცია პირველად სწორედ იან ამოს კომენსკიმ მოგვცა, რომელიც წერდა: „ახალგაზრდობის წესიერი აღზრდა არნიშნავს იმას, რომ თავში ჩავუტენოთ ავტორებიდან ამოკრეფილი სიტყვების, ფრაზების, გამოთქმებისა და აზრების ნარევი, არამედ ნიშნავს იმას, რომ განვუვითაროთ მას საგანთა გაგების უნარი, რათა სწორედ ეს უნარი გახდეს იმ ცხოველ წყაროდ, საიდანაც ცოდნის ნაკადული გადმოდინდება“ (კომენსკი: 1949, გვ. 20).

კომენსკი 1680 წელს გამოცემულ ნაშრომში სახელწოდებით „Spicilegium didacticum“, სწავლისა და სწავლების მოდელების (დიდაქტიკისა და მათეტიკის) დახასიათებას იძლევა. ავტორმა დაინახა აუცილებლობა, უფრო ღრმად შეესწავლა თუ როგორ იძენს ცოდნას ადამიანი. პრაქტიკულად, მან საფუძველი ჩაუყარა „მეცნიერებას სწავლის შესახებ“ და მას „მათეტიკა“ უწოდა. მისივე განმარტებით, „დიდაქტიკა“ კი არის სწავლების ხელოვნება (Spicilegium Didacticum: 1680, გვ. 1).

იან ამოს კომენსკის მათეტიკის მიხედვით, „სწავლა“ არის ცოდნის ძიება ან მცდელობა იმისა თუ როგორ უნდა

შევიმეცნოთ ესა თუ ის საგანი. ცოდნა ეს არის საგნის გონებით ფლობა, გონებაში საგნის აღქმა/შენახვა. კომენსკის მიაჩნია, რომ საგნის გონებით ფლობა-სწავლა, მისი გონებაში შენახვა—ხორციელდება სამსაფეხურად: 1. ცოდნა იმისა, რომ საგანი არსებობს, რომ ნივთს გარკვეული სახე აქვს და იძლევა საგნის მხოლოდ ზედაპირულ/გარეგნულ აღწერილობას. მეცნიერი ამ საფეხურს „შემჩნევას“ ანუ უბრალოდ შეცნობას (მხედველობით აღქმას) უწოდებს; 2. გონითი აღქმა-გააზრება, ცოდნა იმისა თუ რას წარმოადგენს საგნის არსი, რისგან შედგება ის—ცოდნა საგნის შინაგანი შეცნობის შესახებ, ე.ი. შესაძლებლობა გავიგოთ თუ რა ნაწილებისგან შედგება საგანი, რა დამოკიდებულება აქვთ ამ ნაწილებს ერთმანეთთან, როგორ და რა საშუალებებით უკავშირდებიან ეს ნაწილები ერთმანეთს და ქმნიან მთლიანობას; 3. კომენსკის ცოდნის ყველაზე მაღალ საფეხურად, გვირგვინად მიაჩნია საგნის გამოყენების ცოდნა—ცოდნა იმისა თუ რა დანიშნულება აქვს საგანს, რაში გამოიყენება/მოიხმარება ის—უფრო სწორად რომ ვთქვათ, საგნის გამოყენების უნარი (Spicilegium Didacticum: 1680, გვ. 1).





ცოდნის მოპოვების პროცესის აღწერის მიზნით, კომენსკი გამოყოფს ცოდნის სამ დონეს და სამ საფეხურს:

- **დონე I** – ცოდნა საგნის არსებობის შესახებ;
 - **დონე II** – ცოდნა საგნის წარმოქმნისა თუ არსებობის მიზეზების შესახებ;
 - **დონე III** – ცოდნა საგნის შემეცნების შედეგების, წარმოდგენის, ფორმების შესახებ. (Spicilegium Didacticum: 1680, გვ. 2):
- **საფეხური I** – ემპირიული – გამოცდილებით მიღებული ცოდნა;
 - **საფეხური II** – ეპისტემოლოგიური – გააზრებით (შემეცნებით) მიღებული ცოდნა;
 - **საფეხური III ევრისტიკული** – აღმოჩენით მიღებული ცოდნა (Spicilegium Didacticum: 1680, გვ. 2).

ამ პედაგოგიკური თეორიის ავტორი სწავლის უნარის გვირგვინად საიმედოდ, სწრაფად და სასიამოვნოდ სწავლას მიიჩნევს: 1. სწავლის ნაყოფი – ცოდნა მტკიცედ და საიმედოდ უნდა იქნეს შენახული მეხსიერებაში; 2. ისწავლო არა ტვირთის შეგრძნებით, არამედ სიხარულით, სიამოვნებით, სიძულვილის გარეშე, ნების წინააღმდეგ წაუსვლელად; 3. სწავლა, რაც შეიძლება მოკლე დროში (Spicilegium Didacticum :1680, გვ. 3).

კომენსკი მიიჩნევს: რომ მივალწიოთ მოსწავლეთა ჩართვას სწავლის პროცესში, მასწავლებლის მიერ წარმართული სასწავლო მუშაობა, მიცემული დავალება უნდა იყოს მისთვის უცილობლად საინტერესო. ის უნდა შეიცავდეს პრობლემას, რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს სასწავლო პროგრამას და მოსწავლეს უჩენდეს კითხვის დასმისა და ანალიზის სურვილს. იან ამოს კომენსკი

მომავალ თაობას აძლევს რჩევებს: ენდე მხოლოდ შენს თვალს, ყურებსა და ხელს; არ დაიჯერო არაფერი, გარდა იმისა, რის შესაძლებლობასაც ჩასწვდები გონებით. (Коменский, 2016, გვ. 4)

კომენსკის უდიდესი დამსახურება მიუძღვის სწავლის პროცესის მეცნიერულ ანალიზში, სწავლის კანონზომიერებების დადგენაში, სწავლის, როგორც პროცესის ბუნების გახსნაში – სწავლა არის დამოუკიდებელი და სასიამოვნო პროცესი.

„მათეტიკის“ ფუნდამენტური პრინციპებია:

- დისკუსია ხელს უწყობს სწავლებას;
- ყველაზე კარგად ვსწავლობთ მსჯელობით;
- მოსწავლე ყველაზე მეტს სწავლობს მაშინ, როდესაც ის იკვლევს იმას, რაც აინტერესებს და სჭირდება;
- მოსწავლე გაცილებით უკეთესად სწავლობს, როდესაც სწორად დასმულ კითხვებზე პასუხებით დამოუკიდებლად მიდის ახალ ცოდნამდე, „აღმოჩენებამდე“.

განსხვავება დიდაქტიკასა და მათეტიკას შორის შემდეგში მდგომარეობს:

- დიდაქტიკა არის სწავლების კლასიკური ხელოვნება;
- მათეტიკა არის სწავლის ხელოვნება;
- მათეტიკა აქტივობად სწავლას განიხილავს და არა სწავლებას;
- დიდაქტიკა ორიენტირებულია პირზე, რომელიც ასწავლის, მაშინ, როცა მათეტიკა, თავისი არსით, ორიენტირებულია პირზე, რომელიც სწავლობს;
- მათეტიკა გულისხმობს ნაკლები სწავლებით მეტსწავლას;
- მათეტიკა მოსწავლის სწავლის ტექნიკაში დახელოვნებას გულისხმობს;
- მათეტიკა წინა პლანზე წამოწეული სოციალური ინტერაქციაა;
- მათეტიკა ორიენტირებულია ინდივიდზე; ეს არ არის კოლექტიური პროცესი;
- მათეტიკა ორიენტირებულია სწავლის მიღების მსურველის მოთხოვნებზე;
- მათეტიკა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებაა, რომელიც არ გულისხმობს მასწავლებლის წინა პლანზე წამოწევას;

■ მათეტიკა მოსწავლეებისადმი დიფერენცირებული მიდგომაა.

ამრიგად, იან ამოს კომენსკის მათეტიკა არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის ხელოვნება, რომელიც გულისხმობს:

- სკოლის მთლიანად მოსწავლეთა საჭიროებებზე კონცენტრირებას;
- მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობით ურთიერთობას;
- სწავლის პროცესში მოსწავლის თვითგანვითარებასა და თავისუფალ თვითრეალიზაციას;
- სასწავლო პროცესის ისე მოწყობას, რომ გათვალისწინებული იყოს კონკრეტული მოსწავლის ინტერესები და ინიციატივა;
- მოსწავლის ძალისხმევის ეკონომიას – ენერჯის ნაკლები დანახარჯებით ისწავლოს სასიამოვნოდ;
- მასწავლებელს, როგორც დამკვირვებელს, სწავლის პროცესის წარმმართველს, რომელიც თვალყურს ადევნებს რა ხდება და ბრუნავს, რომ ყველაფერი სრულდებოდეს შესაბამისად;
- მოსწავლემ შესასწავლი საკითხი უნდა შეიმეცნოს დაკვირვებით, ნელა და აჩქარების გარეშე, თავდაპირველად ერთიანობაში, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ მივიდეს თავის დასკვნამდე.

კომენსკი ფიქრობს, რომ მოსწავლემ სწავლის პროცესში უნდა იკვლიოს, მიიღოს ახალი ინფორმაცია, აღმოაჩინოს ახალი მოვლენა, მიღებული ინფორმაცია და ათვისებული საგანი დაუკავშიროს ერთმანეთს და თვითონ შექმნას ცოდნა.

ვფიქრობთ, რომ იან ამოს კომენსკის მათეტიკური პრინციპების შემოტანა ქართულ პედაგოგიკურ ამროვნებაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.

